

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

კოჩალიძე ცისნამი

პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობა

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ხიჯაური

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....5

თავი I. პოლიტიკური სისტემა

1.1. პოლიტიკური სისტემის ცნება.....6

1.2. პოლიტიკური სისტემის თეორია.....7

1.3. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი.....11

1.4. პოლიტიკური სისტემის ტენდენციები.....11

1.5. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა.....13

1.6. პოლიტიკური სისტემის ფუნქციები.....14

1.7. პოლიტიკურ სისტემათა ტიპები.....16

1.8. პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია.....17

თავი II. პოლიტიკური სისტემის და ეროვნული იდენტობის დამოკიდებულება

2.1 ეროვნული იდენტობა.....20

2.2. სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების საკითხი....32

2.3. ქართული ღირებულებები იდენტობა და პოლიტიკური სისტემა.....36

თავი III. პოლიტიკური სისტემა და მოქალაქეთა მონაწილეობა პოლიტიკურ გაერთიანებებში

3.1. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა...54

3.2. პოლიტიკური ბაზარი.....59

3.3 არჩევნები და საარჩევნო სისტემა.....62

3.4 **თავი IV. ქართული ფენომენი და ღირებულებები**

3.5 დასკვნა.....74

3.6 გამოყენებული ლიტერატურა.....75

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია პოლიტიკური სისტემის წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპები. ასევე, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს სისტემა საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. აგრეთვე განვიხილავთ ეროვნულ იდენტობას, პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული დღემდე. ქართველი და უცხოელი ტომების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

პოლიტიკური სისტემა ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. მისი მეშვეობით გადანაწილდება არსებული ფასეულობები და ღირებულებები. ტოტალიტარულ სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. უპრეველესად არსებული რეჟიმი, მართვა-გამგეობის რადიკალურ, ფუნდამენტალურ ცვლილებებს მოითხოვს და დემოკრატიული ფასეულობების, ნორმების დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანთა აზროვნებაში.

ადამიანთა ადაპტაციას ცვლად პირობებთან „პოლიტიკური სისტემა“ განაპირობებს, რომელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას.

პოლიტიკური სისტემის მართვა-გამგებლობა მმართველი ხელისუფლების და პარტის ძალაუფლებრივი სფეროა, თუმცა ჩვენი საზოგადოების თანჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ანოტაცია

The work presents the origins and development of the political system.

Also, how the system affects public relations. We will also consider national identity from the prehistoric times until today. Common and distinctive signs of Georgian and foreign tribes.

The political system affects all aspects of public life. The values and values will be distributed through it. Transition from a totalitarian system to a democratic system involves a number of serious problems. The prevailing regime requires radical and fundamental changes in the government's management, and to establish valuable values, norms in public life and human thought.

Adaptation of people to the "political system" in terms of variable conditions, which should necessarily preserve our national identity.

The governance and management of the political system is the power of the ruling government and the party, but the attachment of our society is crucial.

შესავალი

ცნობილია, რომ კაცობრიობა მუდმივ ცვლილებათა პოზიციაშია, ეს ცვლილებები სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით მიმდინარეობენ. რთულდება სოციალური ურთიერთკავშირები ადამიანებს შორის, ჩნდება ახალი მოთხოვნილებები და მათ შესაბამისად ახალი მოღვაწეობის სფეროები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მათ. გარდა ამისა იცვლება ბუნებრივი გარემო, ენერგეტიკული რესურსები, თანამედროვე სახელმწიფოთა არსებობის საერთაშორისო პირობები, ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ, როგორ ახერხებს საზოგადოება მუდმივად ცვალებადი შიდა და გარე გარემოს მოთხოვნებთან შეგუებას, აქტუალური რჩება ყოველთვის, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული პლანითაც. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ადაპტაციის იმ მექანიზმების გამოვლენის საშუალებას აძლევდა, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობისა და სტაბილურობის საფუძველს წარმოადგენენ.

საზოგადოების ინდივიდების მზარდ მოთხოვნებზე რეაგირებისა და თავისი ფუნქციონირების ცვალებად პირობებთან ადაპტირების უნარს „პოლიტიკური სისტემა“ უზრუნველყოფს.

პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მოღვაწეობისა და ასევე ადამიანების მიერ თავთავიანთ პოლიტიკური როლების შესრულების წყალობით, პოლიტიკური სისტემა მიზანდასახულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე. სოციალურ ურთიერთობებებზე პოლიტიკური სისტემის მექანიზმების ზემოქმედება, ეფუძნება უნარს ძალისმიერი გზით განაწილდეს საზოგადოებრივი ფასეულობები და რესურსები, და აგრეთვე მოსახლეობისათვის გარკვეული სტანდარტებისა და ქცევის წესებზე გაცემული მითითებები, ამასთან

დაკავშირებით პოლიტიკური სისტემა ითავსებს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ ურთიერთქმედებათა ტიპებს, ანუ ძალოვანისა და ხელქვეითის ურთიერთქმედებებს.

ეროვნული მოძრაობა სინათლის გრანდიოზული სვეტივით მიიწნევა მოძრაობათა ქაოსებს შორის, ზოგჯერ კაშკაშებს და ადვილი შესამჩნევია, ზოგჯერ მთელს ზოლზე გადაეფარება იმ ქაოსების მღვრიე ღრუბლები და თვალთაგან მიეფარება. ჩვენ ასეთ დროს შევშფოთდებით ხოლმე. ათეული წლების განმავლობაში საქართველოში ეროვნული გრძნობების და ეროვნული აზროვნების „ჩინური უძრაობა“ იყო გაბატონებული და რა საკვირველია, წყურვილით დამხრჩვალ ხარს თუკი მღვრიე და სუფთა ზვირთები ვერ გაერჩია.

რაოდენ საამაყოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ გრძნობათა და ვნებათა ამ ქაოსიდან საქართველოში ეროვნულმა დაასვა ყველაფერს თავისი დალი. ის დანინაურდა,-სამშობლოზე ფიქრი, თავისუფლების წყურვილი! მან აიტაცა პირველმა დროში, იგი თვით იქცა მენინავე დროშად. მან ისე იმძლავრა, რომ მთელ ამ ამბებს, რაც საქართველოში ხდებოდა ეროვნული მოძრაობა ეწოდა.

თავი I. პოლიტიკური სისტემა

1.1 პოლიტიკური სისტემის ცნება

მცნება „პოლიტიკური სისტემა“ გამოიყენება იმ ურთიერთობათა დახასიათებისას, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, სხვადასხვა სოციალურ სუბიექტთა შორის არსებობს არასამთავრობო დონეზე. ამერიკულ პოლიტოლოგიაში პოლიტიკური სისტემა ხასიათდება, როგორც ყველა საზოგადოებრივ სტრუქტურათა ერთობლიობა მათ პოლიტიკურ ასპექტებში.

ამერიკელი პოლიტოლოგის გ. ალმონდის განსაზღვრით, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ინსტიტუტების გარდა, აერთიანებს სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს, ისტორიულ ტრადიციებსა და საზოგადოებრივ ფასეულობებს, მისი განვითარების კულტურულ კონტექსტს.

1.2 პოლიტიკური სისტემის თეორია

ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოყენებული იქნა XX საუკუნის 50-60-იან წლებში. მისი გამოყენება ასახავდა პოლიტიკის სისტემური ხასიათის მზარდ გააზრებას. აქამდე ძალოვან ურთიერთობათა დახასიათებისათვის გამოიყენებოდა მცნება „მმართველობის ტიპი“, ხოლო მოგვიანებით კი „მმართველობის სისტემა“. მაგრამ მათი გამოყენება პოლიტიკას აიგივებდა

სახელმწიფო სტრუქტურათა მოღვაწეობას, მათ გამოჰყოფს ძალოვანი ურთიერთობების მთავარი სუბიექტების სახით. გარკვეულ მომენტამდე მსგავსი განმარტება რეალობას ასახავდა. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესებმა, ავტონომიური დამოუკიდებელი პიროვნების წარმოშობამ თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით გამოიწვია ის, რომ მოქალაქე უკვე არამარტო ემორჩილებიდა, არამედ ზეგავლენასაც ახდენდა სახელმწიფოზე, ამისათვის ქმნიდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს (პარტიებს, მოძრაობებს და ა. შ.) ძალაუფლებამ შეწყვიტა სახელმწიფოს მონოპოლიად ყოფნა, ხოლო ძალოვანმა ურთიერთობებმა, უფრო რთული ხასიათი შეიძინეს, რამეთუ მასში არასახელმწიფოებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მონაწილეობის მიღება.

ძალოვანი ურთიერთობების სირთულისა და მრავალმხრივობის გააზრებამ, გამოიწვია იმ დროისათვის გაბატონებული პოლიტიკის ახსნისადმი ინსტიტუციონალური და ბიჰევიორისტული, მიდგომების გადახედვის აუცილებლობა. მაგრამ არსებობდა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი. პოლიტოლოგიაში სისტემური მიდგომის შესატანად; მაგ. იმ უნივერსალური კანონზომიერებების და მექანიზმების ძიება, რომლებიც შეძლებენ საზოგადოებისათვის მდგრადობისა და თავისი გასატანი პირობების შექმნას.

მცნება „**სისტემა**“ სამეცნიერო ხმარებაში გერმანელმა ბიოლოგმა ლ. ფონ ბერტალანტიმ შემოიტანა XX საუკუნის 20-იან წლებში უჯრედის გარე სამყაროსთან გაცვლის პროცესების აღსანიშნად. იგი სისტემას განიხილავდა, როგორც მთლიანობას რომელიც შედგება „**ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტებისაგან**“. ურთიერთ დამოკიდებული ურთიერთობები ნიშნავს, რომ სისტემის ერთი ელემენტის შეცვლისას კი იცვლება მთლიანობა, სისტემა ვითარდება იმის წყალობით მოთხოვნებზე.

მცნება „**სისტემები**“ საზოგადოებრივი განხილვის საგნად დ. პარსონსმა აქცია, რომელმაც საზოგადოება წარმოადგინა, როგორც ოთხი ქვესისტემის ურთიერთქმედება. ეს სისტემები ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთ გაცვლის კავშირში არიან. ესენია: **ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი ქვესისტემები**. ყოველი მათგანი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. რეაგირება

მოთხოვნებზე, ერთად კი ისინი მთლიანად საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობას უზრუნველყოფენ. ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე სამომხმარებლო საგნებით „პასუხს აგებს“ ეკონომიკური ქვესისტემა. კოლექტიური მიგნების განსაზღვრება მათ მისაღწევი რესურსების მობილიზება, გადაწყვეტილებათა მიღება **პოლიტიკური** ქვესისტემის ფუნქციებს წარმოადგენენ. **სოციალური** ქვესისტემა არსებული ცხოვრების წესის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

საზოგადოების ახალ წევრებს გადასცემს ნომრებს, წესებს და ფასეულობებს, რომლითაც მათი ქცევის მოტივაციის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევიან. და ბოლოს **საზოგადოების ინტეგრაციას**, მის ელემენტებს შორის სოლიდარობის **კავშირების დამყარებას** და **შენარჩუნებას** სასულიერო ქვესისტემა განახორციელებს. პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ფუძემდებლად ითვლება ამერიკელი პოლიტოლოგი დ. ისტონი, რომელიც პოლიტიკას განსაზღვრავდა როგორც „**ფასეულობათა ნებაყოფილებითი დანაწილებას**“ ამ კონტექსტში პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს საზოგადოებაში ძალაუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების მექანიზმს რესურსებისა და ფასეულობების დანაწილებასთან დაკავშირებით .

სისტემურმა მიდგომამ გაადვილა პოლიტიკის ადგილის განსაზღვრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მასში სოციალურ ცვლილებათა მექანიზმის გამოვლენა. ერთის მხრივ პოლიტიკა წარმოადგება, როგორც დამოუკიდებელი სფერო, რომლის ძირითადი დანიშნულება რესურსების დანაწილება და მისი მიღება აუცილებლობის სახით საზოგადოების უმეტესობისათვის, მეორეს მხრივ, პოლიტიკა არის უფრო ვრცელი მთლიანობის, საზოგადოების ნაწილი. ის უნდა რეაგირებდეს სისტემაში მიღებულ რეფორმებს, თავიდან უნდა აიცილოს ინდივიდებს ჯგუფებს შორის ფასეულობათა დანაწილების გამო წარმოქმნილი კონფლიქტები.

ამიტომაც დ. ისტონი თვლიდა, „პოლიტიკური ცხოვრების სისტემური ანალიზი“ ეფუძნება „**გარემოში ჩათვლულისისტემის**“ მცნებას. ამგვარი ანალიზი ამტკიცებს, რომ სისტემამ თავი რომ გადაირჩინოს, რეაგირების უნარი უნდა ჰქონდეს, გარე

სამყაროსთან მუდმივი კავშირის შენარჩუნებით, რომლის კომპონენტებია: **ბუნება, ეკონომიკა, კულტურა, სოციალური სტრუქტურა.**

პოლიტიკურ ურთიერთქმედებათა ანალიზის სხვაგვარი მიდგომა წამოაყენა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გ. ალმონდმა იგი ამბობდა, რომ პოლიტიკური სისტემის უნარია განახორციელოს ცვლილებები საზოგადოებაში და ერთდროულად შეინარჩუნოს სტაბილურობა,

დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ ინსტიტუტების როლებისა და ფუნქციების რეალიზაციაზე, რომლებიც წარმოგვიდგებიან როგორც ურთიერთ დამოკიდებული ელემენტების ერთობლიობა, მთლიანობის ყოველი ელემენტი ასრულებს მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციას მთელი სისტემისათვის. საგულისხმოა, რომ სისტემის განხილვა შესაძლებელია არამარტო ტერმინებით, „**ცვლილებები**“, და „**ადაპტაცია**“, არამედ იმ სტრუქტურათა ურთიერთქმედებაც, რომლებიც გარკვეულ ფუნქციებს ახორციელებენ. ყოველივე ერთად უზრუნველყოფენ სისტემის ძირითად მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომის შეყვანა ნაკარნახევი იყო დასავლური სისტემების პრაქტიკის გადატანის ნეგატიურე შედეგით. განვითარებად ქვეყნებში მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების გამოყენება ხელს უშლიდა ხელსაყრელი ცვლილებების დაწყებას. ხვდებოდნენ, რომ დასავლური სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიურ გარემოში, პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ ახერხებდნენ თავის ფუნქციით განხორციელებას. საზოგადოებაში ცხოვრების ეფექტურობას და სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მსგავსი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განვითარება დაიწყო პოლიტიკური სისტემების შედარებითმა კვლევა-ძიებებმა, რომლებსაც სათავეში გ. ალმონდი ჩაუდგა. სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების შედარებისას, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ფუნქციების გამოყოფა, რომლებიც აუცილებელი არიან სოციალური განვითარების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკურ სისტემათა შედარებითი ანალიზი გულისხმობდა ფორმალური ინსტიტუტების შესწავლიდან პოლიტიკური ქცევის კონკრეტული გამოვლინებების განხილვაზე გადასვლას.

აქედან გამომდინარე გ. ალმონდმა და დ. ჰაუელმა განსაზღვრეს პოლიტიკური სისტემა, როგორი როლები და მათ შორის ურთიერთქმედებების ერთობლიობა. იგი ხორციელდება არა მარტო სამთავრობო ინსტიტუტების, არამედ ყველა საზოგადოებრივ სტრუქტურათა მიერ.

ამგვარად სტრუქტურაში ისინი გულისხმობდნენ ურთიერთდაკავშირებული როლების ერთობლიობას. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ პოლიტიკურმა სისტემამ ეფექტურად უნდა განახორციელოს ფუნქციათა სამი ჯგუფი:

1. გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების ფუნქცია;
2. პოლიტიკურ სფეროს შიგნით ურთერთ კავშირის ფუნქცია
3. სისტემის შენარჩუნებისა და ადაპტაციის უზრუნველყოფის ფუნქცია.

ამერიკელმა პოლიტოლოგმა კ. დოიჩმა პირველად პოლიტიკური სისტემა კიბერნეტიკულ მანქანას მიახლოა. იგი პოლიტიკურ სისტემას განიხილავდა „**კომუნიკაციური მიდგომის**“ კონტექსტში, რომლის დროსაც პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც ადამიანთა ძალისხმევის მართვისა და კორდინაციის პროცესი დასახული მიზნების მისაღწევად. მიზნების ფორმულირება და მათ კორდინირება პოლიტიკური სისტემის მიერ ხორციელდება საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მოცემულ მიზნებთან მისი კავშირის საფუძველზე. იმ ინფორმაციის საფუძველზე თუ რა მანძილი დარჩა მიზნის მიღწევამდე და რა შედეგები მოჰყვა წინამორბედ მოქმედებებს.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია ინფორმაციის იმ ნაკადის ხარისხზე, რომელიც მუდმივად მოდის გარე სამყაროდან და ინფორმაციაზე საკუთარი მოქმედების შესახებ. ინფორმაციის ორი ნაკადის საფუძველზე ხდება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება. ამიტომაც მმართველობას კ. დოიჩი ამსგავსებდა **პილოტირების პროცესს**; კურსის განსაზღვრა წარსულში, მისი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, თუ როგორია ადგილმდებარეობა იმ მომენტში დასახულ მიზანთან მიმართებაში.

1.3 პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი

რესურსების გაცვლა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედება გარემოსთან ხორციელდება „შესვლა-გამოსვლის„ პრინციპით. დ. ისტონი „შესვლის“ ორ ტიპს გამოყოფდა, **მოთხოვნები და მხარდაჭერა**. მოთხოვნა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ძალოვანი ორგანიზაციების ყურადღება, საზოგადოებაში ფასეულობათ სასურველი და არასასურველი განაწილების მიმართ;

1. განმანაწილებელი (ხელფასისა და სამუშაო დროის შესახებ, განათლების მისაღები პირობების, სამედიცინო და სხვა მომსახურებათა შესახებ)
2. მარეგულირებელი (საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონტროლი მწარმოებელსა და ბაზარზე და ა. შ.)
3. კომუნიკაციური (პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ, პოლიტიკური ძალის გამოყენების შესახებ და ა. შ.)

1.4 პოლიტიკური სისტემის ტენდენციები

მხარდაჭერა ნიშნავს პოლიტიკური სისტემის გაძლიერებას. იგი მოიცავს სისტემისთვის ხელსაყრელ ქცევის ყველა პოზიციას და ვარიანტს. მხარდაჭერის გამოვლენის ფორმები სხვადასხვაგვარია: გადასახადების ნორმალური გადახდა, სამხედრო ვალდებულებების შესრულება, ძალოვანი ინსტიტუტების პატივისცემა, პოლიტიკური ხელმძღვანელების ერთგულება, რეჟიმის მხარდამჭერ დემონსტრაციათ ჩატარება, პატრიოტიზმი და ა. შ მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს თანხმობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური საზოგადოების წევრთა შორის.

პოლიტიკურ სისტემის მხარდასაჭერ ძირითად ობიექტებად დ. ისტონი ასახელებდა **პოლიტიკურ რეჟიმს, ძალაუფლებასა და პოლიტიკურ თანასაზოგადოებას**. ობიექტებთან შესაბამისად მან გამოყო მხარდაჭერის სამი ტიპი:

1. იმ რეჟიმის მხარდაჭერა, რომელიც აღიქმება, როგორც ჩამოყალიბებული მოლოდინის ერთობლიობა, რომელსაც ეყრდნობა პოლიტიკური სისტემის ნორმები და ხელისუფლების სტრუქტურები.
2. ხელისუფლების მხარდაჭერა, ანუ ყველა ფორმალური თუ არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მხარდაჭერა, მაგალითად ქარიზმატული ბელადებისა, რომლებიც ძალოვან ფუნქციებს ასრულებენ;

3. პოლიტიკური თანასაზოგადოების მხარდაჭერა, ანუ იმ პირთა ჯგუფისა, რომლებიც ერთმანეთთან პოლიტიკური შრომის დანაწილებით არიან დაკავშირებულნი

სისტემაზე გარემოს ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა რეაქცია „გამოსვლა“, ანუ ავტორიტეტულ გადანყვეტილებათა მიღება ფასეულობათა გასანაწილებლად. გარედან მიღებულ იმპულსებზე სისტემის პასუხი ხორციელდება გადანყვეტილებებისა და მოქმედებების ფორმით. პოლიტიკურ გადანყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეთ ახალი კანონების, განცხადებების, რეგლამენტების, სუბსიდიებისა და ა. შ. ფორმები. გადანყვეტილებათ შესრულება კანონის ძალით ხდება. პოლიტიკურ ქმედებებს არ აქვთ იძულებითი ხასიათ, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე. ისინი ხორციელდებიან აქტუალურ პრობლემათა რეგულირებისა და გადანყვეტის ზომათა სისტემით ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალური, პოლიტიკისა და ა. შ. სფეროებში.

პოლიტიკური სისტემა ღრმა ურთიერთდამოკიდებულებაშია გარე სამყაროსთან. მან უნდა გარდაქმნას შემოსული მოთხოვნები და მხარდაჭერა შესაბამის გადანყვეტილებებად და მოქმედებებად ოლინდ იმ პირობით, რომ მას შეესაბამება თვით რეგულირების უნარი. ამ დროს პოლიტიკური პროცესი ხდება ინფორმაციის გარდაქმნა, მისი „შესვლიდან“, „გამოსვლაზე“ გადაყვანის პროცესი. გარემოდან მიღებულ სიგნალებზე რეაგირებისას, პოლიტიკური სისტემა ახორციელებს ცვლილებებს საზოგადოებაში და იმავდროულად ინარჩუნებს მასში სტაბილურობას; მაგრამ თუ კი ცვალებადობა წარმოდგება როგორც სისტემის მოღვაწეობის კერძო ფუნქციონალური დახასიათება, მაშინ თვითშენარჩუნება და გადარჩენა მნიშვნელოვანი თვისებები ხდებიან.

დ. ისტონი უყურადღებოდ არ ტოვებდა პოლიტიკური სისტემის შიდა ცხოვრებას, მის შინაგან სტრუქტურას, რომელიც საზოგადოებაში დინამიკურ წონასწორობას ინარჩუნებს. ამიტომ პოლიტიკური სისტემის საზღვრები წაშლილია, რომელშიც ინდივიდების, ჯგუფების ქცევის რეაქციათა სიმრავლეებია.

ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად გ. ალმონდმა წამოაყენა წინადადება, „პოლიტიკური სისტემა გავიგოთ, როგორც მოქმედებათა ყველა ტიპები, რომლებსაც კავშირი აქვთ

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებასთან“. მან პოლიტიკურ სისტემაში მხოლოდ ის ინსტიტუტები გააერთიანა, რომლებიც ასრულებენ კონკრეტულ პოლიტიკურ ფუნქციებსა და როლებს. „გამოსვლისას“ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველა შტო გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. კანონმდებელი ძალაუფლების ინსტიტუტები დაკავებულნი არიან ურთიერთქმედებათა წესებისა და ნორმების დადგენისათვის. ამ წესების გამოყენების ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ეკუთვნით. სასამართლოს ორგანოები ახორციელებენ კონტროლის ფუნქციას კანონთა დაცვაზე. ამგვარად პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების სპეციალიზებით და დანაწილებით ხორციელდება საზოგადოების სტაბილურობა, მის ცვალებად პირობებში ადაპტაციის უნარით.

1.5 პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა

პოლიტიკური სისტემა, როგორც ვიცით, ქვესისტემებისაგან შედგება. ეს ქვესისტემები ურთიერთკავშირში არიან და უზრუნველყოფენ საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებას. მაგრამ ფუნქციონალური ნიშან-თვისებით გარკვეულ ქვესისტემათა გამოყოფა შესაძლებელია.

ინსტიტუციონალური ქვესისტემა აერთიანებს სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ურთიერთობას. მათ შორის, რომლებიც ერთობლიობაში საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენენ. ცენტრალური ადგილი ამ ქვესისტემაში სახელმწიფოს ეკუთვნის. თავის ხელში რესურსთა უმრავლესობის კონცენტრირებით. სახელმწიფოს უდიდესი შესაძლებლობები გააჩნია, იმისათვის რომ ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე. მოქალაქეთათვის სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა აუცილებლობა ხელს უწყობს მას სოციალური ცვლილებებისათვის, მიზანდასახულობის, გონიერების მიცემაში და საერთო მნიშვნელობის ინტერესების გამოხატვის ორიენტაციაში. მაგრამ თუ შევამჩნიებთ პოლიტიკური პარტიების ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენასაც, რომელიც ძალიან დიდ ადგილს იჭერს სახელმწიფოს ხელისუფლებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა

აქვთ ეკლესიისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებსაც გააჩნიათ უნარი არსებითი ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მისი საშუალებით მათ შეუძლიათ ზენოლა მოახდინონ მთავრობაზე, ლიდერებზე.

ნორმატიული ქვესისტემა აერთიანებს სამართლებრივ პოლიტიკურ, მორალურ ნორმებსა და ფასეულობებს, ტრადიციებს წეს-ჩვეულებებს. მათი საშუალებით პოლიტიკური სისტემა რეგულარულ ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუტების მოღვაწეობაზე, მოქალაქეთა ქცევაზე.

ფუნქციონალური ქვესისტემა ესა პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები, ძალაუფლების განხორციელების საშუალებები. იგი წარმოადგენს პოლიტიკური რეჟიმის საფუძველს, რომლის მოღვაწეობა მიმართულია საზოგადოებაში ძალაუფლების განსახორციელებელი მექანიზმის ფუნქციონირების, სახეცვლილების და დაცვის უზრუნველყოფისაგან.

კომუნიკაციური ქვესისტემა აერთიანებს პოლიტიკური ურთიერთქმედების ყველა ფორმას, როგორც სისტემის შიგნით ასევე სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ სისტემებთანაც.

1.6 პოლიტიკური სისტემის ფუნქციები

სისტემათა თეორიის ფუნქციაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია სისტემის შენარჩუნებისაკენ მდგრად მდგომარეობაში და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისაკენ. მოქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემის ორგანიზებულობისადა სტაბილურობის დარღვევას დისფუნქციად იწოდებიან. პოლიტიკური სისტემის ფუნქციის ერთერთი საყოველთაოდ ცნობილი კლასიფიკაცია წარმოდგენილი იყო გ. ალმონდისა და ჯ. პაუელის მიერ. მათ გამოყვეს ის ფუნქციები, რომელთაგან თითოეული აკმაყოფილებს სისტემის მოთხოვნებს, ხოლო ისინი ერთად უზრუნველყოფენ „სისტემის შენარჩუნებას მისი შეცვლით“.

პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის შენარჩუნება ხორციელდება, პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქციის საშუალებით. პოლიტიკური სოციალიზაცია

წარმოადგენს პოლიტიკური განათლების, რწმენის, გრძნობების, ფასეულობების შექმნის პროცესს, რომლებიც იმ საზოგადოებისათვის არიან დახასიათებულნი, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. ინდივიდისათვის პოლიტიკური ფასეულობების განმარტება, მისი ჩართვა პოლიტიკური ქცევის მიღებულ სტანდარტებში, ლოიალური მიდგომა ძალაუფლების ინსტიტუტების მიმართ უზრუნველყოფენ არსებული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის მიღწევაც. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კი მისი ფუნქციონირება ემყარება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის შესაბამის პრინციპებს. მაგ. ამერიკული პოლიტიკური კულტურა ეფუძნება: **მითებს, იდეებსა და წარმოდგენებს**, რომლებსაც სცნობს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. მიუხედავად რელიგიური და რასობრივი განსხვავებისა. მათ შორის აზრი თავისი ქვეყნის, როგორც ღვთის რჩეულის შესახებ, რომელიც ადამიანს აძლევს თვითრეალიზების უნიკალურ შესაძლებლობებს. სისტემის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს გარემოსთან და მის შესაძლებლობებთან ადაპტაციის უნარი. ადაპტაციის ფუნქცია ხორციელდება პოლიტიკური **რეკრუტირების** საშუალებით. ეფექტურია ძალაუფლების მომზადების და შერჩევის საშუალებები, რომლებსაც უნარი შესწევთ იპოვონ აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზები და შესთავაზონ ისინი საზოგადოებას.

პოლიტიკურ სისტემას შეუძლია ეფექტური რეაგირება მოახდინოს წარმოქმნილ მოთხოვნებზე, თუ კი სისტემას გააჩნია რესურსები. ამ რესურსებს იგი იძენს ეკონომიკური, ბუნებრივი და ა. შ. გარემოდან მიღებული რესურსები ისე უნდა განაწილდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების შიგნით არსებული სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების ინტეგრაცია და თანხმობა. პოლიტიკური სისტემის მიერ კეთილდღეობათა, მომსახურებისა და სტატუსების განაწილება შეადგენს მისი **დისტრიბუციური ფუნქციის** შინაარსს.

პოლიტიკური სისტემა განახორციელებს ზეგავლენას საზოგადოებაზე ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის კორდინირებისა და მართვის საშუალებით. პოლიტიკური სისტემის მოქმედებები გამოხატავენ მარეგულირებელ ფუნქციის არსს. იგი რეალიზდება იმ ნორმების დანესების შეყვანით, რომელთა საფუძველზე

ურთიერთქმედებენ ინდივიდები და ჯგუფები, ასევე ადმინისტრაციული და სხვა ზომების მიღების საფუძველზე წესების დარღვევათა წინააღმდეგ.

1.6 პოლიტიკურ სისტემათა ტიპები

თანამედროვე სამყაროში არსებულ პოლიტიკურ სისტემათა მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, რომ მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესზე ზეგავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს; ისტორიული ტრადიციები, კულტურა, ეკონომიკური განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფე, გეოპოლიტიკური პირობები და ა. შ. ამა თუ იმ ფაქტორთა სიჭარბე მათ განსაკუთრებულობასა და განუმეორებლობას განაპირობებს. მაგრამ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს, ის რაც მათი უნივერსალური მექანიზმების, როლისა და მათი ფუნქციონირების კანონზომიერების გამოვლენის საშუალებას იძლევა. პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაციის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს საკმარისი პირობების განსაზღვრაში, რომლებიც პოლიტიკურ ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირებისა და თავისი პოლიტიკური როლების წარმატებულ შესრულებაში უწყობენ ხელს.

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგია ხორციელდება სხვადასხვა თვისებათა გათვალისწინების საფუძველზე. ერთ-ერთი პირველი კლასიფიკაცია მათ გარე სამყაროსთან ურთიერთკავშირის ხასიათიდან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემები იყოფიან **დახურულ და ღია** სისტემებად. დახურულ პოლიტიკურ სისტემებს შიგნით ებღუდული კავშირი აქვთ გარე სამყაროსთან, ისინი ვერ აღიქვამენ სხვა პოლიტიკურ სისტემებს და განვითარების რესურსებს, ისინი ამგვარი შევსებას სისტემის შიგნით პოულობენ.

ღია სისტემები აქტიურად ცვლიან რესურსებს გარე სამყაროსთან, წარმატებით ითვისებენ სხვა სისტემათა ფასეულობებს, მოძრავნი და დინამიურნი არიან. დახურულ სისტემათ მაგალითებს ყოფილი სოციალიზმის ქვეყნები წარმოადგენენ.

1.7 პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია

საკმაოდ გავრცელებულია პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ანუ ხელისუფლების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ხასიათისა და საშუალებების საფუძველზე. ამ კრიტერიუმის მიხედვით გამოიყოფა **ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული** პოლიტიკური სისტემები.

ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელია პიროვნებისა და საზოგადოების დაქვემდებარება ხელისუფლებისადმი, ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს რეგლამენტაცია და კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან.

ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის საფუძველი ერთი პიროვნების ან პირთა ჯგუფების განუსაზღვრელი ძალაუფლება მოქალაქეთათვის, ზოგიერთ ეკონომიკური, სამოქალაქო, სულიერი თავისუფლებების შენარჩუნებით. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა ითვალისწინებს პიროვნების უფლებათა პრიორიტეტს, საზოგადოების კონტროლს ხელისუფლებაზე.

ფრანგი პოლიტოლოგი ჟ. ბოდენი პოლიტიკურ სისტემებს განასხვავებს მართვის შინაარსისა და ფორმის მიხედვით. იგი ხუთ ფორმას გამოყოფს;

1. ლიბერალურ-დემოკრატიებს, რომლებშიც პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღება ორიენტირებულია ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, საკუთრების ფასეულობებზე;
2. ავტორიტარულ-რადიკალურ სისტემას, ორიენტირებულია თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის ფასეულობებზე;
3. ტრადიციულ პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც მმართველობის ოლიგარქიულ ფორმებს ეყრდნობიან და ორიენტირებულნი არიან ეკონომიკური რესურსებისა და სოციალური სტაბილურობის არათანასწორ განაწილებაზე.
4. პოპულისტურ პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც ჭარბობენ განვითარებად ქვეყნებში. ისინი იყენებენ მმართველობის ავტორიტარულ მეთოდებსა და ილტვიან მეთი თანასწორობისაკენ კეთილდღეობათა განაწილებაში;
5. ავტორიტარულ-კონსერვატიული პოლიტიკური სისტემა, რომელთა მიზანია სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შენარჩუნება,
6. მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობის შეზღუდვა.

პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაციას საფუძვლად შეიძლება დაედოს კლასობრივი პრინციპი, ანუ იმ კლასის ინტერესები, რომელსაც გამოხატავს პოლიტიკური სისტემა. მსგავსი ტიპოლოგია დამახასიათებელია **მარქსიზმისათვის**, რომელიც პოლიტიკურ სისტემას განიხილავდა, როგორც იარაღს, ეკონომიკურად გაძლიერებული კლასის ხელში. ამ თვისებით ხასიათდებოდნენ მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური პოლიტიკური სისტემები.

დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში აღიარებულია გ. ალმონდის პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგია. იგი განასხვავებდა მათ პოლიტიკურ კულტურის ტიპებსა და პოლიტიკურ როლებს პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს შორის. ალმონდმა გამოყო პოლიტიკურ სისტემათ ოთხი ტიპი; **ანგლო-ამერიკული, ევროპულ-კონტინენტალური, ინდუსტრიამდელი და ნაწილობრივ ინდუსტრიულ, ტოტალიტარული.**

ანგლო-ამერიკული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების დანაწილების მაღალი ხარისხი პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს შორის: სახალმწიფოს, პარტიებს, ინტერესთა ჯგუფებსა და ა. შ. შორის. პოლიტიკური სისტემა ფუნქციონირებს საზოგადოებაში არსებულ ლიბერალურ, ფასეულობათა დასაცავად: თავისუფლების, უსაფრთხოების, საკუთრებისა და ა. შ.

ევროპულ კონტინენტალური პოლიტიკური სისტემა გამოირჩევა პოლიტიკური კულტურის განხეთქილებით, ეროვნულ კულტურაში საპირისპირო ორიენტაციების, იდეალების ფასეულობების არსებობით, მაგრამ არსებობს საერთო კულტურული საფუძველი-ლიბერალური ფასეულობები.

ინდუსტრიული და ნაწილობრივ ინდუსტრიული პოლიტიკურ სისტემებს გააჩნიათ შერეული პოლიტიკური სისტემა. იგი შედგება ადგილობრივი პოლიტიკური სუბკულტურებისაგან, რომელსაც საფუძვლად უდევს კლანის, თემის გვარის ფასეულობები. საზოგადოების ინტეგრაცია ძალადობის საშუალებით იწვევს ძალაუფლების თავმოყრას ვიწრო წრეში. **ტოტალიტარული** პოლიტიკური სისტემები ფუნქციონირებენ კლასობრივ, ეროვნული ან რელიგიური ფასეულობების პრიორიტეტის საფუძველზე. ძალაუფლება თავმოყრილია მონოპოლიურად

მმართველი პარტიის ან პირთა ჯგუფის ხელში, იგი აკონტროლებს საზოგადოებისა და ინდივიდის სიცოცხლის უნარიანობისა და მოღვაწეობის ყველა მხარეს.

თავი II. პოლიტიკური სისტემის და ეროვნული იდენტობის დამოკიდებულება

2.1 ეროვნული იდენტობა

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის კატეგორია, უკვე დიდი ხანია საგანგებო ყურადღების და კვლევის საგანია, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებსა და ასევე აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ადგილობრივი აკადემიური წრეები და პოლიტიკური ელიტა უკვე წლებია მსჯელობს ქართული ეროვნული იდენტობის შესახებ.

ქართული ეროვნული იდენტობის გარკვეული თავისებურებები მჭიდროდ არის დაკავშირებული გასული საუკუნეების ისტორიულ პოლიტიკურ მოვლენებთან. ქართული ეროვნული იდენტობისა და ძირითადი ღირებულებების შესახებ საუბრისას, მნიშვნელოვანია უახლესი წარსულის გათვალისწინებაც. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია 1991 წლის 9 აპრილს მიიღო. მანამდე კი 1980-იანი წლების დასასრულს, სსრკ-ს რღვევის პროცესში, განსაკუთრებული ძალა გამოავლინა, მანამდე „დათრგუნულმა ეროვნულმა“ გრძნობამ, რომელმაც კონკრეტული პოლიტიკური შინაარსი და ეროვნული თავისუფლება შეიძინა.

ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან, მოყოლებული ადამიანთა ჯგუფებმა, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, დაიწყეს ეთნიკური ნიშნით დაჯგუფება და ეთნიკურ წარმომავლობაზე დაფუძნებული სოციალური კომუნების ფორმირება. ამ ეთნიკურმა ჯგუფებმა ისტორიის მსვლელობასთან ერთად განახორციელეს საკუთარი ენის, ისტორიის, კულტურისა და თვით რეალიზაციისთვის აუცილებელი ტერიტორიის ფორმირების პროცესი. ყოველივე ზემოაღნიშნული დიდ ზეგავლენას ახდენდა ეთნიკური ჯგუფების მიზნებზე, მის სოციალურ სტრუქტურაზე, ჯგუფში ინდივიდების ფსიქოლოგიურ აღქმასა და საბოლოოდ მის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველო ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, რადგან მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის

განმავლობამ მას პრაქტიკულად არ ეძლეოდა საშუალება, რომ ემუშავა საკუთარი პოლიტიკური აზრისა და პოლიტიკური კულტურის შემუშავებასა და განვითარებაზე. ამის მცდელობები იყო საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანაში“ თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის პერიოდში წარჩინებულთა წინადადება ე. წ. „კარავი“ რომელიც გახლდათ დღევანდელი პარლამენტის მოდელი. დავით აღმაშენებლის შიდა პოლიტიკური რეფორმები. ამ რეფორმებმა, თავის მხრივ საფუძველი დაუდო საქართველოში პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, შემდეგ კი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართული ეთნოსის, ძირითადი ძალისხმევა მიმართულია პოლიტიკური სისტემის სრულყოფაზე. ყოველივე ამას მე-XX საუკუნის დასაწყისში დაემატა ყველაზე

რთული პოლიტიკური კატაკლიზმა „**საქართველოს გასაბჭოება**“ რომელმაც საერთოდ არია ქართველებში როგორც ეთნიკური ჯგუფის, ძალაუფლების დელეგირებისა და განხორციელების საკითხები. საბჭოურმა პოლიტიკურმა აზრმა შებოჭა ის ძირითადი ეროვნული საყრდენი, რომლებსაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში. ეროვნული ხასიათის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გამძაფრდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში საზოგადოებრივი მეცნიერების მესვეურებმა აქტიურად დაიწყეს თეორი იმაზე, თუ რა განასხვავებდა ერთ ერს მეორისაგან, საერთო ფსიქოლოგიურ კონტექსტში. რა იყო ამა თუ იმ ქვეყნის სოციუმისათვის მეტ ნაკლებად დამახასიათებელი, რატომ იყვნენ ერთი ერები მიდრეკილი დემოკრატიისაკენ, მეორე კი საერთოდ არ ამუღავნებდა მოთხოვნილებას ლიბერალურ-დემოკრატიულ წესწყობილებისადმი. ზოგიერთი სახელმწიფოს საზოგადოება უფრო მეტად აგრესიული იყო საერთაშორისო არენაზე, ზოგი კი ნაკლებ ტოლერანტობას იჩენდა ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა უმცირესობების მიმართ. სახელმწიფოებსაც ინდივიდების მსგავსად ახასიათებთ გარკვეული ნიშანთვისებები. ნიშანთვისებებზე საუბრისას არ ვგულისხმობთ პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს.

ეროვნულ იდენტობასთან ადეკვატურ პოლიტიკურ სისტემაზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა ვაწყდებით საკმაოდ რთულ შეკითხვას რა არის საერთო

ეროვნული ხასიათი და თუ იგი არსებობს, როგორ უნდა მოხდეს მისი შეფასება, გაზომვა ან დახასიათება **ვალიდური** სამეცნიერო მეთოდოლოგიით. იმ შემთხვევაში თუ მოხერხდება ამ უაღრესად რთული საკითხის მეცნიერული გადაჭრა, დგება კიდევ უფრო რთული ამოცანა, კონკრეტულ ეროვნულ ხასიათს უნდა მოვარგოთ კონკრეტული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ერთის მხრივ მაქსიმალურად გამოხატავს ეროვნულ იდენტობას, მეორეს მხრივ არის პოლიტიკურად სტაბილური და ითვალისწინებს კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია და ხშირად იბადება კითხვა „ეროვნული ხასიათ აყალიბებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს თუ პირიქით“, პოლიტიკური ინსტიტუტები აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს? ერთი სიტყვით საკითხი რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ საკმაოდ მრავლის მომცველია და აბსტრაქტულობიდან გამომდინარეობს.

ეროვნული ხასიათი და იდენტობა თავისი შინაარსით ფართოა და განზოგადებული ცნობა. აქედან გამომდინარე, ცნების განმარტებაც საკმაოდ ფართოა. ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე ეროვნულ ხასიათს მოიხსენიებს როგორც უნიკალურ ეროვნულ სულსა და გენიას. საკმაო მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, რომ ეროვნული ხასიათი ბიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორებით არის განპირობებული ერთი მხრივ, არსებობს გარკვეული ნიშნები და უნივერსალები რომელიც ყველა ერის, ეთნიკური ჯგუფისა და ცივილიზაციის ქცევისთვის არის დამახასიათებელი. ანთროპოლოგების აზრით ე. წ. ჯგუფური თუ კოლექტიური ხასიათი ან სული კარგად აისახება ეთნოსის თუ ერის ინტელექტუალურ პროდუქტში:

ლიტერატურაში, კულტურაში, ხუროთმოძღვრებაში და სახალხო თქმულებებში. ცივილიზაციები და კულტურები უდავოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იდეური ან ევროპული მწერლობისა და კულტურისაგან. რას ნიშნავს ეს განსხვავებები? ეს უბრალოდ ისტორიასი ჩარჩენილი ადამიანის ეფემური გრძნობის პროდუქტია. რომელიც დროთა განმავლობაში უკვალოდ ქრება, თუ ის სულიერი მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ამ ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა, უფრო მუდმივია და თან ახლავს ერს მთელი მისი არსებობის განმავლობაში.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, ერთი მხრივ ადამიანებს შორის მსოფლიო დონეზე უფრო მეტი მსგავსება ვიდრე განსხვავება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს განსხვავებები იმდენად თვალში საცემია, რომ ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, ეთნოლოგებსა და სხვა დარგების მოაზროვნეებს საგონებელში აგდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული ხასიათი თითქმის შეუმჩნეველია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავად არიან ნაციონალური იდენტობის ნაწილი. „ეროვნული ხასიათი ბევრად უფრო თვალსაჩინოა უცხო დამკვირვებლისათვის ვიდრე ადგილობრივი ჯგუფის ნებისმიერი წევრისთვის“. უცხო ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლები ხშირად უფრო მძაფრად აღიქვამენ ნაციონალური იდენტობასა და ხასიათს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით. კონტრასტი ორ გარემოს შორის იმდენად დიდი თვალსაჩინოა, რომ მყისიერად აისახება გარე ადამიანის ცხოვრებაში.

„ამდენად ჩვენ ერთ მხარეს გვაქვს ხასიათ, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, მეორე მხარეს კი ეთნიკური ნიშნით შემდგარი მრავალ რიცხოვანი კოლექტივი. ამ ორი მოცემულობის ურთიერთქმედების შედეგად კი თავს იჩენს ძალიან საინტერესო მოვლენა. კერძოდ „როცა სიმრავლეები მოქმედებენ ნაციონალურ კომუნებში, ისინი ავითარებენ საერთო წარმოდგენებს, მისწრაფვიან კონსოლიდირებული მიზნებისაკენ და ზომავენ წინააღმდეგობას საერთო მიზნებთან მიმართებაში, მაშასადამე აყალიბებენ ეროვნულ ხასიათს ფორმირებაზე. მონტესკიე მიიჩნევდა, რომ „კაცობრიობა ექცევა მრავალ ფაქტორთა ზეგავლენის ქვეშ; კლიმატი, რელიგია, კანონები სახელმწიფოს მიერ დადგენილი მაქსიმები, პრეცედენტები მორალი და ადათნესები“; ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ყალიბდება საერთო ეროვნული სული. მისი აზრით ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი, ისტორიასა და კულტურაში იმალება“.

კულტურა თავის მხრივ, გარკვეული ნორმების ერთობლიობაა, ნორმის დასამკვიდრებლად კი აუცილებელია დრო და ნორმა ცხოვრებაში გატარებას, ანუ მოქმედების ხანგრძლივი პრაქტიკა. აქედან გამომდინარე კულტურა როგორც გარემო და ისტორია დროის დენადობაში არსებული ფენომენია, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს აქტივობას, ქმნის უნიკალურ სიმბოლოს, რომელიც თავის მხრივ

არის, კიდევ ეროვნული იდენტობის ფორმირების მამოძრავებელი ფენომენი, იდენტობა კი ზეგავლენას ახდენს, რომელიმე კონკრეტულ ქმედებაზე, რაც თავის მხრივ ხასიათის გამოვლინებად აღიქმება. საუკუნეების განმავლობაში აკუმულირებული ისტორიული გამოცდილება და კულტურული ნორმები ქმნიან ერთგვარ ფსიქოემოციონალურ გარემოს, რომელიც განსაზღვრავს ერის ინდივიდუალიზმს. ყველა რასის ადამიანებს, მიუხედავად მათი სოციალური გარემოსი, აქვთ ურყევი მარაგი იდეების, ტრადიციების, გრძნობების, აზროვნების მიმართულებების, რომელიც მათი წინაპრების ქვეცნობიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ძნელია შეედავო იმ აზრს, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები და მათი მოძღვრებები ჩვენზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს. ზოგჯერ ჩვენ გააზრებულად ვაფასებთ და ვემორჩილებით მათ მოძღვრებებს, რადგან სწორად და მისაღებად მიგვაჩნია, ზოგჯერ კი წინაპრების მიერ დანატოვარი სოციალური ნორმები მძიმე ტვირთად გვაწევს და ვცდილობთ მათგან გათავისუფლებას, თუმცა როგორც არ უნდა იყოს გარემოება, ორივე ზემოთ მოყვანილი შემთხვევაში, ჩვენ უდავოდ მათი ზეგავლენის ქვეშ ვექცევით. კულტურასა და ისტორიას გააჩნია ერთი ფენომენალური თვისება, ჩვენ რატომღაც ქვეცნობიერ დონეზე გვგონია, რომ ისინი მხოლოდ წარსულში არსებობენ, თუმცა გვაფიქვდება, რომ ისტორია და მისი პირმშო კულტურა მიუხედავად იმისა რომ წარსულის შვილები არიან, დღევანდელ მოცემულობაში ფუნქციონირებენ და არანაკლებ ზეგავლენას ახდენენ ჩენს ქცევაზე და არსებობაზე, ვიდრე ნებისმიერ თანამედროვე სოციალური ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე სოციალური მეცნიერებების განვითარებასთან ერთად დადგა ეროვნული ხასიათის, როგორც სოციო-პოლიტიკური მოვლენის შესწავლის საკითხი, იმდენად რამდენადაც ეს ფენომენი თანამედროვეობაში აქტიურ ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურ მოქალაქეებსა და სოციალური ჯგუფების ქცევასა და მათ აქტივობაზე სოციო-პოლიტიკურ სივრცეში.

თითქმის ორასი წელიწადია, საქართველოს პოლიტიკური აზროვნება რუსეთის იმპერიას ემსახურება. მაგრამ მანამ სანამ განვსაზღვრავდეთ თუ რას ნიშნავს ეს მოვლენა, მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ დანაკარგი. ამ ორასი წლის

განმავლობაში რუსეთს საქართველოდან გაჰქონდა პროდუქცია და თან აქეთაც გვანვდიდა, მაგრამ ყველაფერი სხვა დროს საანგარიშოა. როდის იყო გაძარცული ვალში იყო ყაჩაღთან.

ძალიან ძნელია, თუნდაც მიახლოებით განსაზღვრო დანაკარგი პოლიტიკური აზროვნების სფეროში. მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ წარმოვიდგინოთ ამ ოკეანის კონტურები. საქართველოს პოლიტიკური აზროვნება ორასი წლის განმავლობაში მთლიანად რუსეთს ემსახურებოდა. თუ საქართველოსთვის რაიმე კეთდებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე იმ ქართველი მოღვაწეების შემწეობით, რომლებიც იმდროისათვის გადასახლებული იყვნენ რუსეთში, ეს გახლდათ თავისთავად მოტანილი

შედეგი და არა საქართველოსათვის გამიზნული პოლიტიკური აზროვნების სტრუქტურის ნაყოფი. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სტალინი იდგა მსოფლიო მოვლენების ცენტრში. ამ ნახევარი საუკუნიდან ოცდაათი წლის მანძილზე იგი უშვალოდ წარმართავდა მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს. სიკვდილის შემდეგ მისი პოლიტიკური აზროვნება ინერციით განაგრძობდა ღვანლს და საუკუნის დასასრულამდე მის გარშემო ჯგუფდება და გადანაცვლდება პოლიტიკური ძალები.

მას აღმოაჩნდა უნივერსალურად შეუვალი და მიუდგომელი უნარი პოლიტიკური განსჯისა. როდესაც უცხოელი და საბჭოთა პოლიტიკოსების, სამხედრო მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერების, პუბლიცისტების, ჟურნალისტების, რიგითი მოქალაქეების მიერ გამოცემულ მემუარებს კითხულობ და ნებისმიერ სიტუაციაში სტალინის პოლიტიკური აზრის მოძრაობას აკვირდები, ელვისებური პოლიტიკური შემოქმედების პროცესს სწავლობ, არა მარტო რწმუნდები მის გენიალობაში, გეუფლება თავზარდამცემი სასონარკვეთა იმ აზრის გამო, რომ სხვას მოხმარდა ამოდენა სააზროვნო ენერჯია! მერე ვის მოხმარდა და მერე რას მოხმარდა! რუსეთს და სოციალიზმს! მაგრამ ეს ძალა, ეს ენერჯია ხომ საქართველომ დაკარგა. რაც დააზარალა იმ ძალამ, ეს ერთი მხარეა, რაც დავკარგეთ იმაზე გვმართებს დაფიქრება. დროა დავიბრუნოთ ჩვენი ეროვნულობა. (ჯ. ლვინჯილია ქართველ კაცის სინამდვილე, გვ. 281, 282)

ეროვნული მოძრაობა სინათლის გრანდიოზული სვეტივით მიიწვება მოძრაობათა ქაოსებს შორის, ზოგჯერ კაშკაშებს და ადვილი შესამჩნევია, ზოგჯერ მთელს ზოლზე გადაეფარება იმ ქაოსების მღვრიე ღრუბლები და თვალთაგან მიეფარება. ჩვენ ასეთ დროს შევშფოთდებით ხოლმე. ათეული წლების განმავლობაში საქართველოში ეროვნული გრძნობების და ეროვნული აზროვნების „ჩინური უძრაობა“ იყო გაბატონებული და რა საკვირველია, წყურვილით დამხრჩვალ ხარს თუკი მღვრიე და სუფთა ზვირთები ვერ გაერჩია.

რაოდენ საამაყოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ გრძნობათა და ვნებათა ამ ქაოსიდან საქართველოში ეროვნულმა დაასვა ყველაფერს თავისი დალი. ის დაწინაურდა,-სამშობლოზე თიქრი, თავისუფლების წყურვილი! მან აიტაცა პირველმა დროში, იგი თვით იქცა მენინავე დროშად. მან ისე იმძლავრა, რომ მთელ ამ ამბებს, რაც საქართველოში ხდებოდა ეროვნული მოძრაობა ეწოდა.

ყველაფრის ანგრევა არამართო ბუნებრივი და ლოგიკური გახლდათ, არამედ საჭიროც და აუცილებელიც, მაგრამ დიდი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მივადექით იმ სანიშნე სვეტს, რომლის იქითაც ამ „მღვრიე ქაოსებით“ სიარული უკვე აღარ გვარგია. ასეთი სიარული დალუპავს საქმეს.

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,

ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა. დროშები ჩქარა!“

როდესაც ამ სტრიქონებს წერდა, გალაქტიონ ტაბიძე რევოლუციას კი არ უმღერდა ამოძრავებულ მსოფლიოში საქართველოს თავისუფლების მიღწევის შესაძლებლობას ჭვრეტდა და იმ „აბობოქრებას“ მთელი არსებით ეგებებოდა. მაგრამ იმ მოძრაობიდან საქართველოსათვის სასიკეთო არათფერი გამოდნა, მოძრაობამ გაუცრუა იმედი გალაქტიონს და მთელ საქართველოს.(ჭ.ღვინჯილია ქართველ კაცთა სინამდვილე გვ. 357, 358).

ინტერესი ეროვნული ხასიათის მიმართ დიდ წილად განაპირობა თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ. დემოკრატიული ხელისუფლებები მთელი მსოფლიოს მამტაბით ანგარიშვალდებულნი არიან ხალხის

წინაშე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრინციპების დამკვიდრებამ სახელმწიფოებსა და საზოგადოებაში განაპირობა ხელისუფლების ამომრჩევლებთან დაახლოება. ძალაუფლების დისტანცია ხელისუფლებასა და მის ხალხს შორის საგრძნობლად შემცირდა. წინა ისტორიულ წლებთან შედარებით ხელისუფლება პირდაპირ დამოკიდებული გახდა მისივე მართულ სოციალურ, ამ დამოკიდებულებს განაპირობებს მოქალაქეების საარჩევნო უფლება და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტები.

რეგიონთაშორის ურთიერთობების კვლევისას იდენტობის პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ეთნიკურ და რელიგიურ ასპექტებს. რათქმაუნდა ამ კონტექსტში შეიძლება განხილული იქნას პიროვნების გენდერული სოციალური და სხვა იდენტობებიც, მაგრამ ისინიც მნიშვნელოვან წილად უკავშირდება ზემოხსენებულ ორ ძირითად სფეროს. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ეროვნული იდენტობის პრობლემა და ევროპული გამოცდილება XIX საუკუნის ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის ნაწერებში. ილია ჭავჭავაძე იყო იმპერიოდის ყველაზე გავლენიანი საზოგადო მოღვაწე საქართველოში, მისი მთავარი იდეა იყო „მამული, ენა, საწმენობა“. უკიდურესად მოკლედ გამოხატავდა ეროვნული იდენტობის კონცეფციას. ამ სამ ელემენტს იგი უწოდებდა ქართველთა საუნჯეს და მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ თავდადებით დაეცვათ ისინი. ეს იყო პერიოდი როდესაც საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული, რის გამოც ქართული ენა შევიწროებას განიცდიდა (იგი განდევნილი იყო სახელმწიფოს სტრუქტურებიდან, სასწავლებლებიდან და ეკლესიიდანაც) და რწმენა ნელნელა ქვეითდებოდა (მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა რუსული და ეკლესიაში სიარულისაგან თავს იკავებდა). მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ქართველ ხალხს დახმარებოდა, მათი დადებით და უარყოფითი თვისებების გაცნობიერებაში. საკუთარ თანამემამულეებში ის ნაკლს უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე ღირსებას, მაგრამ მიაჩნდა, რომ მათი წინაპრები ბევრად უკეთესები იყვნენ. ილიას აზრით ის მნიშვნელოვანი სულიერი ფასეულებები, რაც ქართველებს ისტორიულად

ჰქონდათ და ვერ შეინარჩუნეს, XIX საუკუნეში განსაკუთრებული წარმატებით განვითარდა და აღორძინდა ევროპაში.

თავის თარგმანებში ჭავჭავაძე წარმოაჩენს ევროპული ცხოვრების წესსა და კულტურას, პუბლიცისტიკაში კი გამოკვეთს ჩვენ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. ეს მას მნიშვნელოვნად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც სჯერა, რომ ერი უნდა ვითარდებოდეს როგორც საკუთარი ისტორიული, ისე თანადროული პროგრესული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ყველამ იცის, რომ ეხლანდელ დროში ეროვნული დევნა და იძულება, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა ერის ხარ და მე სხვა ერისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მართო ბრწყინ და უვიციის მოძღვრება და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონგახსნილ კაცისაგან.

„იქნება ამათ მოისურვონ, სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს“ ყოველ ამაში რა საქმე აქვსო, რად ესარჩლებათ ჩაგრულთა და დევნილთაო? ის საქმე აქვს, რაც ყველა პატიოსან კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეინწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და ჩაგროს მეორე, ცალკე კაცი იქნება, თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი. ასე რომ არ იყოს ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა უნმინდეს ქომაგობად რომ არ ი, ან მთელი ერი. ასე რომ არ იყოს ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა უნმინდეს ქომაგობად რომ არ იყოს აღიარებული ყოველ პატიოსან და გულმართალ კაცისაგან, მაშინ ხომ ეგრედწოდებული სომეხთა საქმე ოსმალეთში არ გამოიწვევდა იმ სამართლიანს და პატივსაღებ თანაგრძნობას, რომელმაც ქვეყანას თავის სასახელოდ, ხმა ამოაღებინა და ამ ხმის სამართლიან რიხისაგან ბევრად ძლიერი ოსმალეთი ყოველად უძღურ სომეხს შეუშინდა, შეუფრთხდა. ეს ხმა რომ არ ყოფილიყო ოსმალეთი ისე მალე მოუღებდა ბოლოს სომეხებს, როგორც სვაფი კურდღელსა; ყლაპად არ ეყოფოდა.

ერთადერთი მოძღვრება კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის; ერთ ყველასთის და ყველა ერთისათვის, შენც იცხოვრე და სხვასაც აცხოვრეო. ეს მცნება ურომლისოდაც ვერაა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ხეირობს, შესაძლოა კაცმა დროთა ხელშეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი

აქვს, როცა იქნება ამოხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. თუ ადამიანი თავის თავს კაცად გახდის, სხვასაც უნდა კაცად იგულოს, თორემ თვითვე გაიჭყლიტება და გაითელდება თავისავე მოძღვრებისაკენ. დრო და უამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას.

ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურ უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუ კი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად იღწვიან და იბრძვიან. საკვირველია ეს ღვანლი და ბრძოლა კი არ არის ჭკუათმყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ რომ ლახვა სხვისი უფლების მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველ ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყველგან და ყველასგან.

შენც იყავი და მეც მეყოფა, განა ბუნებრივი და სამართლიანი სურვილი არ არის?“ (ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა XIII ტომი გვ. 303-307)

ილია ჭავჭავაძის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში დიდადა აღიარებული, ხოლო მეორე იმის დანახვა და წარმოჩენა, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, რა კერძო და უნივერსალური თვისებები ახასიათებს მას. ქართველ მეცნიერთა ჭკუფის მიერ ინიცირებული და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი“: ილიას „ივერია“ სულაც არ გახდათ მისი ავტორების მიერ საკუთარი თავისათვის გამზადებული იოლი ამოცანების ერთობლიობა.

თითქმის ორასი წელიწადია, საქართველოს პოლიტიკური აზროვნება რუსეთის იმპერიას ემსახურება. რას ნიშნავს ეს? მანამ სანამ განვსაზღვრავდეთ თუ რას ნიშნავს ეს მოვლენა, მიახლოებით მაინც წარმოვადგინოთ დანაკარგი.

ამ ორასი წლის განმავლობაში რუსეთს საქართველოდან გაჰქონდა ღვინო, არაყი, ხილი, ციტრუსი, ჩაი, მარგანეცი, და ა.შ. რა არ გაჰქონდა! აქეთაც გვანვდიდა პურს, კარაქს, ხორცს და ა.შ. მაგრამ ყველაფერი სხვა დროის საანგარიშოა, სხვა დროის

დასათვლელი. სხვა დროს უნდა გაირკვეს ვალში ვართ თუ ვალში არიან. როდის იყო, გაძარცვული ვალში იყოს ყაჩაღთან!

ძალიან ძნელია, თუნდაც მიახლოებით განსაზღვრო დანაკარგი პოლიტიკური აზროვნების სფეროში. მაგრამ მაინც უნდა ეცადოთ წარმოვიდგინოთ ამ ოკეანის კონტურები. ძალიან გრძელი და ტევადი ისტორია გამოვა. რომ მივყვეთ და 1801 წლიდან დღემდე რუსეთის სამსახურში ჩამდგარი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფები გავისხენოთ, მაგრამ ორ ფენომენზე მაინც უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: სტალინი და ბერია. საქართველოს პოლიტიკური აზროვნება ამ ორასი წლის განმავლობაში მთლიანად რუსეთს ემსახურებოდა. თუ საქართველოსათვის რაიმე კეთდებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე იმ ქართველი მოღვაწეების შემწეობით, ეს გახლდათ თავისთავად მოტანილი შედეგი და არა საქართველოსათვის გამიზნული პოლიტიკური აზროვნების სტრუქტურის ნაყოფი.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სტალინი იდგა ნსოფლი მოვლენების ცენტრში. ამ ნახევარი საუკუნიდან ოცდაათი წლის მანძილზე იგი უშვალოდ წარმართავდა მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებს. სიკვდილის შემდეგ მისი პოლიტიკური აზროვნება ინერციით განაგრძობდა ღვანლს ნაციონალური იდენტობის წრთობა მრავალმხრივი მრავალასპექტიანი და მრავალგანზომილებიანი პროცესია. „წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია და განვიხილავთ ენობრივ-გენდერულ ასპექტებს, მათ პოზიციებს, რაობას და თავისებურებას. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში. ამ ასპექტების გამოვლენა და მათზე დაკვირვება იმდენად იყო შესაძლებელი რამდენადაც ამას იძლეოდა „ივერია“ გვერდებზე გამოქვეყნებული თემატიკა.“

მდედრისა და მამრის, ინისა და იანის, ქალურობისა და მამაკაცურობის საზოგადოებრივი დაპირისპირება ისევე ძველია, როგორც ჩვენი სამყარო. ამ ურთიერთობის ცალკეული ასპექტების ამსახველი უხვი თვალსაჩინო მასალა

ნაპოვნია ისტორიულ წყაროებში, კანონიკურ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებში, ღირსაცნობია რომ ენაც, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, თავისთავად მრავალ თვალსაჩინოებას გვანვდის ამ მხრივ. რათქმუნდა აქ აქცენტი არ კეთდება ოპოზიციებზე გრამატიკული სქესის მიხედვით, თუმცა როგორც ცნობილია ეს კატეგორიაც „**პალეონტოლოგიურად**“ მიიჩნევა და ვარაუდობენ, რომ მისი ძირი უძველესი მითოლოგიური აზროვნების თავისებურებებს უნდა წვდებოდეს. როგორც წესი როდესაც სქესზე ვსაუბრობთ ტრადიციულად იგულისხმება ორი ტიპისა: ბიოლოგიური და გრამატიკული. 1772 წელს დანერილ ნარკვევებში „**ენის სათავეების შესახებ**“ იოჰან გოტფრიდ ჰერდერს დაჰყავს გრამატიკული სქესი პირველყოფილ ანიმისტურ მსოფლხედვამდე. ავტორის აზრით, როდესაც პირველი ადამიანები ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ სამყაროსა და თავიანთი ყოფის არსში, მათ მოახდენს ცხოველებისა და მეცნიერების, მიწის, ქვებისა და წყლის თავიანთ ირგვლივ არსებულ ბუნებრივ და ზებუნებრივ ძალთა პერსონიფიკაცია, ქალებად და მამაკაცებად, კეთილისა და ბოროტის მქნელ ღმერთებად და ქალღმერთებად. მაგრამ სამართლიანობის გულისათვის ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ არსებობს ე.წ. სოციალური სქესი ანუ **გენდერი** თუ ბიოლოგიური სქესი განასხვავებს ქალურობასა და მამაკაცურობას, ე.ი. გენდერული იდენტიფიკაცია შეიძლება მოხდეს კულტურის, დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით. რასაკვირველია გენეტიკური განსხვავებები ძირეულია მაგრამ ერთადერთი. ამის დასადასტურებლად გამოდგება ერთი ძველებური ხუმრობა იმის შესახებ, თუ როგორ უთვალთვალედა ჩუმად ორი ბაუშვი ბუდისტების პლაჟს ღობიდან. ბიჭი კითხულობს: „ ვინ არის ეს ხალხი? ქალები არიან თუ კაცები? ვერ გეტყვი, პასუხობს გოგონა, ტანთ არათფერი აცვიათ.“

ამ გარდამავალ ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ენისა და სქესის ურთიერთობის საკითხები ენათმეცნიერების პერიფერიულ პრობლემად რჩებოდა, ასევე მიღებული იყო, რომ მამაკაცის მეტყველება ნორმად მიიჩნეოდა ხოლო ქალური ენა კი გადახრად.

ამასთანავე სპეციალისტები ჯერ კიდევ არ ოპერირებდნენ გენდერის ცნებით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ გამოხატულ სქესობრივ განსხვავებებს აღიარებდნენ მხოლოდ ეგრეთწოდებულ პრიმიტიულ საზოგადოებაში. თუმცა როგორც აღმოჩნდა იყო გამონაკლისიც. მხედველობაში გვაქვს გენდერ ლინგვისტიკურ სპეციალურ ლიტერატურაში, ბოლო დრომდე უცნობი ნაშრომი ენის საკითხების შესახებ, რომლის ავტორია გერმანელი ფ. მაუნთერი რომელიც პირველად 1913 წელს გამოქვეყნა. ამ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო დებულებებზე, მაუნთერის აზრით, ენის შემოქმედებითი გამოყენება, მამაკაცების პრეროგატივა, ქალებს კი მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ აითვისონ მამაკაცების მიერ შექმნილი ენა. „ქალური“ ენის გაჩენას მაუნთერი უკავშირებს ანტიკური თეატრის ისტორიულ ტრადიციებს, სადაც თავდაპირველად მამაკაცები ასრულებდნენ მდებრი პერსონაჟების როლს. მხოლოდ სცენაზე მანდილოსნების გამოჩენის, დრამატურგის ტექნიკამ მოხდა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც გასაქანი მისცა ენის ქალურ ვარიანტსაც. ისტორიულმა მიდგომამ მიიყვანა ავტორი იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებამ აღიქვა „ქალური ენა“, მაშინ როცა ამ ენაზე მოლაპარაკებას მიეცათ გამოჩენის საშუალება, რაც მოწმობს იმას, რომ სქესთა უთანასწორობა გავლენას ახდენდა ენობრივ სოციალიზაციაზე.

საქართველოში უკვე არსებულ და გამოქვეყნებულ მასალებს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს სათანადო გენდეროლოგიური ექსპერტიზა, რამაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი კანონზომიერებები უნდა წარმოაჩინოს დასკვნების გამოტანისას.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ ე. სმითი, რომელიც აცხადებს; ნაციონალისტი არ მოითხოვს, რომ ყველა წევრი ერთნაირი იყოს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მათ შიგრიდონ სოლიდარობის მძლავრი ჯაჭვის არსებობა.

2.2 სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების საკითხი

ეროვნული იდენტობის საკითხის განხილვისას აუცილებელია იმის გააზრება, რომ ეროვნული ხასიათის **გენერირებას** სოციუმი ახდენს ისტორიულ პოლიტიკურ კონტექსტში. ალბათ ზოგიერთი შეედავება ამ მოსაზრებას, რომ სოციუმი ეროვნული ხასიათის გენერირების პროცესში იმყოფება ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშა. მაშასადამე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები აყალიბებენ სოციუმს და არა პირიქით. ისმის კითხვა? „ეროვნული ხასიათი აყალიბებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, მაგრამ ამ სისტემებსაც აქვთ თავიანთი უკუქცევითი ძალა და ამ ჯგუფებით თავის მხრივ ზემოქმედებენ სოციუმზე, ამ შემთხვევაში საკითხავია, სოციუმს წარმართავენ, თუ თავად სოციუმი წარმართავს და კარნახობს თამაშს წესებს.

უფრო ნათელია რომ გახდეს „**უკუქცევით ძალის ფენომენი**“, განვიხილოთ იგი მარტივი მაგალითის საფუძველზე. დავუშვათ სოციუმი მივიდა დასკვნამდე, რომ სჭირდება ესა თუ ის კანონი და ამის შესახებ ამცნო პოლიტიკურ სისტემას, რომელმაც შეასრულა სოციუმის დაკვეთა და დააკანონა, რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი ნორმა. ამ შემთხვევაში სოციუმმა მოახდინა ზეგავლენა პოლიტიკურ სისტემაზე, ერთი შეხედვით აქ უნდა დასრულდეს ყველაფერი, მაგრამ მიღებული კნონი იწყებს მოქმედებას სოციუმში, თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს სოციუმზე და მაშასადამე აქტიურ მონაწილეობას იღებს მის სამომავლო ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. გამოდის საქმე გვაქვს ორმხრივ ზეგავლენის მოვლენასთან, რომელსაც ერთი სუბიექტის აქტივობა განაპირობებს ზეგავლენას ორივე სუბიექტზე. აქ კი იბადება კითხვა, თუ ორივე სუბიექტი ახდენს ზეგავლენას პროცესზე, რომელიმე სუბიექტის ზეგავლენა შეიძლება ჩაითვალოს უფრო ფუნდამენტურ და განგრძობითად საკუთარი სტრუქტურისა და შინაარსიდან გამომდინარე. ჩვენ შემთხვევაში **ჯეიმს ჩარლსვორტი** პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, საკმაოდ მარტივად პასუხობს დასმულ შეკითხვას საკუთარ პუბლიკაციაში, „ჩვენ ყველანი რალათქმუნდა ვალიარებთ, რომ მოვლენები ექცევიან იმის ზეგავლენის ქვეშ, რაზეც ახდენენ ზეგავლენას, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ უფრო ადვილია შეცვალო მთავრობა ვიდრე გარდაქმნა ერი“. ამასთან ერთად ისტორიამ კარგად გვასწავლა, რომ პოლიტიკური

სისტემა და რეჟიმი, რომელიც საკუთარ თავში ვერ ასახავს იმ ხალხის იდენტობას, რომელზეც ახორციელებს ძალაუფლებას, განწირულია ისტორიის სანაგვეზე გადასაგდებად. აშკარა რომ, ამ შემთხვევაში ავტორი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ერთი თავისი სოციუმითა და ეროვნული ხასიათით უფრო მყარი და მუდმივია, ვიდრე პოლიტიკური სისტემა, მაშასადამე პირველი უნდა იქნას აღებული, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ პოლიტიკური სისტემის უკუქცევითი ძალა, რომელიც უდავოდ ანგარიშ გასაწევი ფაქტორია.

„სოციუმსა და პოლიტიკურ სისტემას შორის ურთიერთქმედება საუკეთესოდ აისახება, ამ ურთიერთქმედების შედეგად გენერირებული მოვლენების ანალიზისას. აქედან გამომდინარე განვიხილავთ რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, რომლის შემდეგაც აშკარა გახდება სოციუმის ძლიერი ზეგავლენა პოლიტიკურ სისტემაზე. უნგრელი იურისტი პოლიტოლოგი და კონსტიტუციონალიზმის სპეციალისტი **ანდრაშ შაიო** თავის ნაშრომში **„ძალაუფლების თვით შეზღუდვა,**“ შესანიშნავად აღწერს სოციუმსა და პოლიტიკურ სისტემას შორის არსებული ურთიერთქმედებების შედეგებს. შაიოს აზრით სახელმწიფოს კონსტიტუციებში საუკეთესოდ გამოსჭვივის ე.წ. „ეროვნული შიშები“. თავად სახელმწიფოსა და შემდეგ უკვე კონსტიტუციების შექმნაც ხომ სწორედ შიშმა განაპირობა. შიშმა ანარქიისა და შემდეგ უკვე კონსტიტუციების შექმნაც ხომ სწორედ შიშმა განაპირობა. შიშმა ანარქიისა და განუკითხობის წინაშე. კაცობრიობამ ჩამოაყალიბა ქცევის სავალდებულო ძირითადი ნორმები და კაცთა თანაარსებობის აუცილებელი პრინციპები. თავად კონსტიტუციაც არაფერია თუ არა კაცობრიობის მასობრივი შიშის გამოძახილი. თუ ზოგადად კონსტიტუცია წარმოადგენს კაცობრიობის შიშისაგან ნაწარმოებულ მოვლენას, მაშინ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კონკრეტული ერის შიშები, რომლებსაც ეკუთვნის ესა თუ ის კონსტიტუცია. ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის ლოგიკური ხაზის თვალსაჩინო მაგალითია ბულგარეთი, სადაც შიშმა თურქული ნაციონალური უმცირესობის წინაშე განაპირობა ის, რომ კონსტიტუციით პირდაპირ აიკრძალა პოლიტიკური პარტის შექმნა ნაციონალურ ნიადაგზე. ეს მაგალითი ტიპური გამოხატულება ეროვნული შიშისა, რომელიც ბულგარეთში არსებობდა და შეიძლება ახლაც არსებობს. ეს მაგალითი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით

ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია პოლიტიკური პარტიების შექმნა რეგიონული პრინციპით. ამ სამართლებრივ ნორმაში აშკარად გამოსჭვივის ქვეყანაში მომხდარი კომთლიტების ფაქტორი, რომელთა შემდეგ სახელმწიფოში დაისადგურა სეცესიის შიშმა, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ ფართო და პირდაპირი გამოძახილი ჰქონდა ქართულ კანონმდებლობაში, არაორაზროვანი იმპერატიული ნორმის სახით.

პოლიტიკური სისტემისა და ეროვნული იდენტობის სიმბიოზური ურთერთქმედება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფოებრივი სისტემის მდგომარეობას. შეუძლებელია ქვეყანაში ხდებოდეს საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირება, როდესაც არ არსებობს ყველასათვის დადგენილი თამაშის საერთო წესები, თამაშის წესებს კი ფორმალურად ადგენს პოლიტიკური სისტემა, ამასთან ერთად ამ წესებს უნდა იზიარებდეს სოციუმის უდიდესი ნაწილი, რაც თავის მხრივ აყალიბებს სისტემის ჯანსაღ ფუნქციონირების წინაპირობას.

რაც შეეხება შიშებს, დამეთანხმებით რომ ე.წ შიშები და ღირებულებები არის სწორედ ის ქვაკუთხედი, რომელიც განსაზღვრავს ხასიათს, როგორც პიროვნულს ასევე ეროვნულს. მაშასადამე ეროვნული შიშები და ღირებულებები გარკვეულწილად არის კიდევ ეროვნული ხასიათი, თუმცა ხასიათი და მითუმეტეს ეროვნული, საკუთარი შინაარსიდან და ფსიქოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, მრავალმხრივი საკითხია. ჩვენ კი ზემო აღნიშნული ხასიათი უნდა მოვაქციოთ ისეთი სამეცნიერო კვლევითი მეთოდოლოგიურ ფარგლებში, რომელიც ერთი მხრივ იქნება გაზომვადი და მეორე მხრივ, სრულიად ასახავს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს. ეს ერთი შეხედვით სტატისტიკისა და სოციოლოგიური კვლევის პირველად და პრაქტიკაში ხშირად გატარებული საკითხია. თუმცა საერთოდაც საკითხავია როგორ უნდა აისახოს სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთობა.

2.3 ქართული ღირებულებები იდენტობა და პოლიტიკური სისტემა

როგორც ან გარდაცვლილი ზურაბ უჯანია ამბობდა: „იმისათვის რომ იმას ჩასწვდე და გაიგო ქართული პოლიტიკა თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული, როგორ უნდა უზრუნველყო ქართული სახელმწიფოს მდგრადობა და მისი წარმატებული განვითარება, აუცილებლად უნდა გვეჩონდეს გონებაში წარმოდგენილი, თუ რა

საზოგადოებასთან, რამდენად მრავალფეროვან და ხშირად, ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუარებელი წინააღმდეგობით აღსავსე საზოგადოებასთან გვაქვს საქმე“. ქართული საზოგადოების შესწავლა და გაგება 2006 წელს სცადეს. ფონდმა“ღია საზოგადოება- საქართველო“ ქართველი საზოგადოების ღირებულების კვლევა ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ღირებულებათა სტრუქტურირებასა და ანალიზს. კვლევა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველი ეყრდნობოდა ფოკუს ჯგუფის მიერ შემუშავებულ კითხვარს, ხოლო მეორე მსოფლიო ღირებულების კვლევის კითხვარების გადამუშავებულ ვერსიას.

ამ კვლევებმა ერთი შეხედვით, პარადოქსული შედეგები აჩვენა, კვლევის ავტორთა აზრით აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთდროულად განვითარების სამ სტადიაზე იმყოფება; ტრადიციულზე, მოდერნულზე და პოსტმოდერნულზეც კი. კვლევის შედეგების ანალიზით კი შეგვიძლია, მონაცემთა მოკლე კონსტატაცია მოვახდინოთ.

1.საქართველოს მოქალაქეთა ერთი დიდი ნაწილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

- ოჯახი (91%)
- სამუშაო(72%)
- რელიგია(56%)
- მეგობრები/ნაცნობები(49%)
- პოლიტიკა(13,5%)

2. 66,6% მიიჩნევს რომ ტრადიციები უფრო უნდა დავაფასოთ, ვიდრე მაღალი ტექნოლოგიები.

3. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია რელიგიური ცერემონიების ჩატარება მნიშვნელოვან მოვლენებზე (ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება,).

4. მოსახლეობის 81% მიიჩნევს, არის რელიგიური.

5. 10 პუნქტიან სისტემიდან 8.1პუნქტით აისახა ღმერთის მნიშვნელობა გამოკითხულთა ცხოვრებაში.

6. გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოება ეტაპობრივად რეფორმებით უნდა გაუმჯობესდეს, 12% მიიჩნევს რომ ქართველი საზოგადოება მთლიანად შესაცვლელია რადიკალური რეევილუციური ქმედებებით, 19% საერთოდ არ იცის რა მოუხერხოს ქართულ საზოგადოებას.

7. აღსანიშნავია რომ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკურ თუ სოციალურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე დიდი ნდობა აქვთ ეკლესიას. 54,1%.

8. გამოკითხულთა უმრავლესობა პირველ რიგში ამაცობს ეროვნული ტრადიციებითა და ისტორიით, აგრეთვე ერთერთ მონიშნავ აღვილზეა კულტურა და ხელოვნება.

9. ქართულ სოციუმში საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული მოთხოვნა ავტორიტარულ ქარიზმატულ ლიდერზე. გამოკითხულთა 42% სურს, რომ ქვეყანას სათავეში ედგას ძლიერი ლიდერი, რომელიც თავს არ დაზოგავს, და მხოლოდ 36% სურს რომ ქვეყანაში იყოს დემოკრატიული მმართველობა.

10. მოსახლეობის 93% ძალიან ან საკმაოდ ამაცობს საკუთარი ეროვნულობით.

უპირველეს ყოვლისა თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ეკლესიას ქართულ სახელმწიფოებრიობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ეკლესია უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ რელიგიური ინსტიტუტი. საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, ძირითადად პატარ-პატარა სამთავროებად იყო დაშლილი. ხშირ შემთხვევაში ეს სამთავროები პოლიტიკურად საკმაოდ გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისაგან. ენა და რელიგია იყო ის ორი ძლიერი ფაქტორი, რომელიც ამ სამთავროებს ერთ სამეფოში გაერთიანებისაკენ უბიძგებდა. ეს ორი ფაქტორი დღესაც უაღრესად ძლიერია და მითუმეტეს, განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა არამხოლოდ სასულიერო ფუნქციას, არამედ მას ებარა ისეთი მნიშვნელოვანი ეროვნული ელემენტის პარტნიორობის ფუნქცია, როგორიც გახლავთ ენა. თუ გადავხედავთ შუა საუკუნეების მწერლობას, ნაშრომთა უმეტესობა რელიგიურ თემატიკას ეძღვნება. ეკლესია და მონასტრები, პრაქტიკულად მთელი ისტორიის განმავლობაში წარმოადგენდნენ მწერალთა და ე.წ. გადამწერთა ცენტრებს, რომელთა ფუნქციაში შედიოდა ქართული ენის განვითარება და რაც მთავარია

გავრცელება. რეალურად ქართული მართმადიდებლური ეკლესია სრულიად განსაზღვრავდა ენობრივ პოლიტიკას ქვეყანაში.

„დღემდე შემორჩენილი ქართული მწერლობის ყველაზე ძველი ნაშრომებია: „**შუშანიკის წამება**,“ და „**აბო ტფილელის წამება**“ , რომლებიც მიეკუთვნება აპოლიტიკურ წერილების ჟანრს და ისინი ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ძველი მიღვაწეების შექმნილია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს იყალთოს, გრემის აკადემიები და სხვადასხვა სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც რეალურად ახორციელებდნენ ქართული პოლიტიკური მოძღვრებების ჩამოყალიბებას, განვითარებას და გავრცელებას.“

ეკლესიამ იტვირთა ქართველი ეთნოსისათვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი „**პატრიოტობა**“ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, ქართულ ეთნოსს დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური სუვერენიტეტი, მოშლილი იყო მისი სამხედრო პოლიტიკური სტრუქტურა და ეთნოსის სოციალური ინსტიტუტები, პრაქტიკულად არ არსებობდნენ, აღმოჩნდა რომ ქართულმა ეკლესიამ აიღო ყველაზე მძიმე ტვირთი, ამ უკანასკნელ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში. ქართული ეთნოსის იდენტობის შენარჩუნება და მისი ძირითადი განსხვავებული ნიშნების პარტნიორობა დაევალა. მეორე მხრივ კი ქვეყანაში პოლიტიკური სუვერენიტეტის არ არსებობამ განაპირობა ის, რომ ვერ განვითარდა ძლიერი საერო საზოგადოების საკანონდებლო ბაზა, აქედან გამომდინარე ქვეყანაში პრაქტიკულად ვერ ვითარდებოდა, სტაბილურ გარემოში კანონმორჩილების კულტურა. თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას ხშირად და ხასკასმით არის მოხსენებული საერო და საეკლესიო გამიჯვნის ფაქტი, თუნდაც დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მაგრამ ეს მოვლენა ძირითადად ხდებოდა მაშინ, როცა მყარდებოდა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტი და სახელმწიფო იმდენად ძლიერდებოდა, რომ შეეძლო შეესრულებინა სოციუმისათვის აუცილებელი ელემენტარული ფუნქციები, ეს კი იწვევდა ეკლესიის ფუნქციის შესუსტებას. ხშირი იყო პოლიტიკური დაპირისპირებები საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის. ერთი სიტყვით მართმადიდებლურმა ეკლესიამ ობოლი ბაუშვივით უპატრონა ქართულ ეთნოსს თითქმის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ეკლესია ნებით თუ უნებლიედ

შეიქმნა ქართული ეთნოსის ისტორიული გამოცდილებების მატარებელ ერთადერთ და ყველაზე გამოცდილ და ძლიერ სოციალურ ინსტიტუტად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია ქართული ეკლესიისა და ქართული ეთნოსის თითქმის მთლიანად შერწყმა. ქართული ეთნოსი რეალურად ყალიბდებოდა სწორედ ეკლესიისა და ქართულ სოციუმს შორის არსებულ **სიმბიოზში**. ეკლესია ატარებდა არა მარტო რელიგიურ ფუნქციებს, არამედ პრაქტიკულად ერთადერთი მძლავრი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტი იყო. რომელიც გამართულად ფუნქციონირებდა. სწორედ ამან განაპირობა ქართული ეკლესიისა და რწმენის შერწყმა ქართულ ტრადიციებთან და საერთოდ ქართველობასთან. ამგვარი ტიპის ურთიერთქმედება ალბათ ყველა ქვეყანაში არის მეტ ნაკლებად, თუმცა საქართველოში ამან ბევრად უფრო ძლიერი ფორმა მიიღო. დაახლოებით იგივე მდგომარეობა არის სომხეთშიც, სადაც ეკლესიის სოციო პოლიტიკური როლი ისტორიის განმავლობაში, კიდევ უფრო მაღალი იყო ვიდრე საქართველოში და უმეტეს შემთხვევაში პატრიარქი და ეკლესია ახორციელებდა ძირითად სოციო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნქციებს, რადგან არ არსებობდა სტრუქტურირებული და გამართული პოლიტიკური ხელისუფლება. სწორედ აქედან გამომდინარეობს ქართველთა მიერ რელიგიისა და ტრადიციების გაიგივება, რომელიც ესოდენ აშკარა ქართულ საზოგადოებაში.

კიდევ ერთი ფაქტორი საბჭოთაან სისტემის ნგრევა და საკუთარი დაკარგული წარსულის აღორძინების ცდა გახდა, ყოველგვარი ნაციონალიზმი საკუთარი დაკარგული ეროვნულობის განსახიერების ცდას წარმოადგენს, ქართველი საზოგადოებისთვის ერთერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა ტრადიცია და ოჯახი. სხვათა შორის კითხვაზე აღნიშნეთ ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი თქვენთვის. უმრავლესობა უპირატესობას ოჯახს ანიჭებდა, ეს ბუნებრივიცაა სხვას რომ თავი დაუანებოთ, საბჭოთა სინამდვილეში ოჯახი ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუცია იყო, რომლის ნდობაც შეიძლებოდა. რაც შეეხება ტრადიციას. ისიც თვითმყოფადობის გამოვლინების ერთადერთ გამოვლენა იყო. ქართველობა, სომხობა ან სხვა, ნიშნავდა არა ანმყოფი საკუთარი თავის

განხორციელებას არამედ გადმოცემას, მე ვარ ის, ვინც ჩემი მამა პაპა იყო. არა მარტო ქართველებისათვის არამედ საქართველოში მოსახლე ხალხისათვის რელიგია წარმოადგენს ტრადიციას და არა რწმენას.

„ტრადიცია ეს არის თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები, რომელიც ნებისმიერ ერს გააჩნია და იცავს მათ. ტრადიციის არსი, მისი დროსთან კავშირია, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ დროს მისი გაუფასურება არ შეუძლია. დრო პერიოდულად ახდენს ტრადიციების გადაფასებას საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, თუმცა ის რაც ღირებულია და დროს უძლებს რჩება, ხოლო რასაც ყავლი გასდის და დრო მოჭმული ხდება გადის მოხმარებიდან. ხშირად ტრადიცია ძველდება და თანამედროვეობას ვეღარ უწყობს ფეხს. ხდება მათი გაუფასურება და უარის შემთხვევაში მათი გაქრობაც კი ადამიანში სრულ ქაოსს იწვევს. დღეისათვის საზოგადოება რამდენიმე ფენად იყოფა. ახალგაზრდა თაობა უარყოფს ტრადიციების არსებობას, თუმცა ეს ტრადიციების სამუდამოდ გაქრობაზე არ მოქმედებს. საქართველოს კულტურა, უძველესი დროიდან ტრადიციებითა და საკუთარი თავისებურებებით გამოირჩეოდა, რითაც ქართველები თავს საუკეთესოდ მივიჩნევთ სხვა ერებთან მიმართებაში. მაგრამ ისმის კითხვა: „

აუცილებელია თუ არა ძველი ტრადიციების არსებობა, რომლის წარმოშობის შესახებ შეიძლება არც კი ვიცოდეთ? ქართული ტრადიციები გვჭირდება და აუცილებელიცაა. თუმცა ის უნდა გაიწმინდოს და გასუფთავდეს, თანამედროვე ცივილიზაციურ ტრადიციებს უნდა მოერგოს. ამ ფორმაში და ამ სტანდარტებში მყოფი ტრადიციები ქვეყნის განვითარებას ამუხრუჭებს და მის მომავალს თაობებით ემუქრება. ქართველები ყოველთვის ამაცობდნენ იმით, რომ საქართველოში ტრადიციებზე დაყრდნობით ადამიანები არ კვდებიან ისინი მხოლოდ გარდაიცვლებიან სახეს იცვლიან და მისი კულტი ყოველთვის ცოცხლობს.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ცივილიზაციის სანყისები და თვისებები სათავეს ანტიკურ სამყაროში იღებს, - ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში, - და ეს სამყაროც თავისთავად გაჭერებული იყო ძველი აღმოსავლეთის გამორჩეული მიღწევებით კულტურისა თუ ცივილიზაციის

განსხვავებულ სფეროებში, მაინც ევროპული ღირებულებები, როგორც ის ადრეც წარმოჩნდებოდა და ახლაც წარმოჩნდება, ქრისტიანული სულისკვეთების ნაყოფი და შედეგია. ისიც აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ქრისტიანობაც აღმოსავლეთიდან მოსული მოძღვრებაა, ნასაზრდოები აღმოსავლეთის არაერთი კულტურითა და იდეური წყაროთი. ამდენად, ევროპული ცივილიზაცია თავისთავად მსოფლიოს სხვადასხვა კულტურებიდან იკვებებოდა და არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი მხოლოდ საკუთარ თავში, მით უმეტეს, ბოლო საუკუნეების განმავლობაში, როცა ევროპის ფარგლებიც და თვალსაზრისიც უკიდურესად გაფართოვდა. მაგრამ მაინც, თითქმის ორი ათასწლეულის განმავლობაში ქრისტიანობა განაპირობებდა ევროპის სახესაც და შესაბამისად, ევროპულ ღირებულებებსაც. არცერთ სხვა რელიგიას, ფილოსოფიას თუ მსოფლმხედველობას არასოდეს მიუნიჭებია ისეთი ფასი და მნიშვნელობა ცალკეული ადამიანის პიროვნებისათვის, როგორც მას ქრისტიანობამ მიანიჭა; მხოლოდ ქრისტიანობამ მიიჩნია, რომ სხვა ადამიანის სამსახური, დახმარება, მხარდაჭერა, თემის სხვა წევრის საზრუნავის საკუთარ საზრუნავად გათავისება არა მხოლოდ რელიგიური მოვალეობაა, არამედ ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულებაც, რითაც, ფაქტობრივად, ღმერთისათვის პატივის მიგების, ანუ ღვთის მსახურების ერთადერთ ფორმად ადამიანის მსახურება გამოცხადდა; ქრისტიანობამ დაამკვიდრა, - ადამიანის სასრულობის, და საზღვრულობისა და სისუსტის გათვალისწინებით, - საკუთარ ქმედებათა, მიღწევათა, მონაპოვართა ყოველდღიური, ყოველწუთიერი, განუწყვეტელი განსჯა თუ შეფასება, და კიდევ მეტი: საკუთარ თავში ან საკუთარ ნამოქმედარში უფრო ნაკლისა თუ მანკის მონახვა, ვიდრე კეთილისა თუ საამაყოს შემჩნევა, რაც, შესაძლოა, ფუჭი კმაყოფილების საბაბი გახდეს. ამასთანავე, ქრისტიანობამ უმეტეს დანაშაულად (ცოდვად) და სხვა დანაშაულთა წყაროდ საკუთარი თავით ტკობა, თვითმონონება, სხვაზე აღმატების განცდა („ამჰარტავნება“) დასახა, ხოლო ადამიანის შეფასება მხოლოდ რომელიმე ჯგუფისადმი მისი კუთვნილების მიხედვით სრულიად მიუღებელ და არაქრისტიანული დამოკიდებულებების გამოვლინებად აღიარა.

როგორც ყველა პატრიარქალურ კულტურაში, საქართველოშიც ოჯახი ცენტრალური ღირებულებაა.

ოჯახის წარმოშობაზე მსჯელობისას უნდა ვისაუბროდ მის ისტორიულ ფორმებზე, საჭიროა აგრეთვე ისტორიული, ისტორიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამართლებრივი და ლიტერატურული წყაროების შედარებითი ანალიზი. ამისი აუცილებლობა კი იმითაა გამოწვეული, რომ ოჯახმა, როგორც სოციალურმა ინსტიტუტმა, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე.

„XIX-საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საოჯახო ყოფის მეცნიერული შესწავლა ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, და სოციოლოგთა მიერ. საქართველოში საოჯახო ქონების სამი ძირითადი სახეობა არსებობდა: „მამული“ (ოჯახის სამემკვიდრეო ქონება), „დედული“ (ქალის მიერ მოტანილი ქონება), „მონაგები“ (საერთო გარჯით შექმნილი ქონება). აგრეთვე საინტერესოა ოჯახის შექმნის ტრადიცია. საკმაოდ გავრცელებული იყო ქორწინებისათვის ქალის მოტაცების ფორმა. ქართული სამართალი ებრძოდა მას როგორც დრომოჭმულ ჩვეულებას. საეკლესიო ქორწინება ანუ ჯვრისწერა როგორც ქორწინების სახეა, ქრისტიანობის დროინდელი. ხოლო რეგისტრირებული ქორწინება სოციალიზმის პირმშოა, რომელმაც დიდი ცვლილებები ვერ შეიტანა ქორწინების ადრინდელ ფორმებში. ქართული ეკლესია ისავდა მონოგამიურ ოჯახს, მაგრამ მისთვის ქრისტიანული დოგმები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კონკრეტული ადამიანი. აშოტ კურაპალატი ისეთი თავზარდაცემულია საყვარელ ქალთან განშორებით, რომ ამბობს: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარაცოცხალ არს!“

დღევანდელი ქართულისაზოგადოების ფასადი თითქოს დემოკრატიულია, მაგრამ ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობები კვლავ ტრადიციული ფეოდალურ-პატრიარქალური წარმოდგენებით რეგულირდება. ამის ძირითადი მიზეზი კი არის ის, რომ ცვლილებები საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ყოფიერებაში.

17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სინმინდის დღედ. ეს არის დღე, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დაამტკიცა, როგორც ეროვნული დღესასწაული და მადლობას ვუხდით ამისათვის. როგორც არასდროს, ისევე საჭირო იყო ბოლო წლებში ოჯახის სინმინდის დაცვის დღე, ვინაიდან დღეისათვის ოჯახის დანგრევისა და განშორებათა სტატისტიკა არის საგანგაშო. სულ უფრო და უფრო მეტად გაისმის მონოდებები ანტიოჯახური ღირებულებების დაკანონებისა.

„რა თქმა უნდა ეს ყველაფერი შემაშფოთებელია . ადამიანის უმთავრესი გზა ეს არის ოჯახური ცხოვრება, როცა ღმერთმა შექმნა ადამიანი ის ოჯახად შექმნა, „ადამი და ევა“. ოჯახი ეს არ არის უბრალო ინსტიტუტი, როგორც ხშირად ამბობენ ეს არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც ღმერთმა შექმნა, ჩვენ ღმერთმა ასეთი ცხოვრებისათვის შეგვქმნა. ჩვენ ვიცავთ ყველაზე ძირეულს. ოჯახთან და მის ღირებულებებთან ბრძოლა არის ღმერთთან ბრძოლა, ადამიანის ამაღლებასთან, მის განწმენდასთან, ცხოვრებასთან ბრძოლა.

უფალმა ინებოს არასოდეს დავთმოთ ოჯახური სინმინდე, შევინარჩუნოთ და ეს არის საწინდარი ჩვენი ამაღლებისა“ ამბობს მეუფე შიო.

მეტნაკლებად გასაგებია ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. დიდი სიამოვნებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ამ საკითხზე, თუმცა ჩვენ შემთხვევაში მიზნების ძებნა არ არის კვლევის პირველადი ამოცანა. ქართულ საზოგადოებაში ღირებულებებს წარმოადგენს ტრადიცია, რელიგია და ოჯახი, ყველაზე ავტორიტარულ ინსტიტუტად კი საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია მიიჩნევა. ამ ფაქტს გარდა ისტორიული კონტექსტისა, აქვს თანამედროვეობიდან გამომდინარე საფუძველიც, დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყველაზე წარმატებულ სოციო პოლიტიკურ ინსტიტუტად სწორედ საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია შეიძლება ჩაითვალოს, ის სხვა სოციო პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ყველაზე წარმატებულად ახერხებს თავისი ინტერესების გატარებას საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ასოცირება რადიკალურ მართმადიდებლურ ორგანიზაციებთან. საქართველოს უახლესმა ისტორიამ თვალნათლივ დაგვანახა რომ საქართველოს

საპატრიარქო ქართულ რეალობაში ყველაზე დაბალანსებული და წარმატებულ პოლიტიკას ახორციელებს. იგი სტრატეგიულ დაგეგმარების შესანიშნავ მაგალითს აძლევს ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც რაც არ უნდა სამწუხარო იყოს მთელი უახლესი ისტორიის განმავლობაში საკმაო რადიკალურობით გამოირჩეოდნენ.

„ისმის კითხვა ვართ თუ არა თავისუფლების ღირსი? დამოუკიდებლობა არ მოგვიპოვებია, თავისუფლების ღირსი საიდან ვიქნებით? დაპყრობილი, დამოკიდებული, ანექსირებული ქვეყანა და ხალხი ვერ იქნება თავისუფლების ღირსი. რატომ არის აუცილებელი ჯერ დამოუკიდებლობის მოპოვება, რომ გახდეთ თავისუფლების ღირსი? როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვაკვირდებით, არ მოგვწონს ერთმანეთი.

აი მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა? განა შეიძლება იყოს უფრო წმინდა და ამაღლებული ქმედება ამ ქვეყნად, ვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა?

”განა მისი უდიდესი პატივისცემა და მოწინება არ უნდა გვიპყრობდეს. განა ამ წმინდა ბრძოლაში შესულთ თავში საერთოდ უნდა გვებადებოდეს ქვეყანა აზრები, მითუმეტეს მკვლელის, ბანდიტის ძრახვები უნდა გვივსებდეს გულგვამსა და ტვინს? როგორ გინდა დაიჯერო, ეს ხალხი თავისუფლების ღირსიაო, როდესაც ხედავ, საზოგადოებრივი წესი და რიგი დაირღვა. ვინ სად გადადის პროსპექტზე, ვინ თელავს გაზონებს, როგორ მიდიან ქუჩაში თვით აქციის მონაწილენი, ვანდალური აღზევებით, უკულტუროდ! ყველა აქციას არ ვგულისხმობ ცხადია.

როგორ შეიძლება ორი საუკუნის განმავლობაში მონურ მდგომარეობაში მყოფ ხალხს მოსთხოვო, ახლავ იყოს თავისუფლების ღირსი, ან გიკვირდეს, რატომ იქცევა ასეო.

ორი საუკუნის წინათ ქართველ ხალხს ჰქონდა თავისი სახე, რადგან ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ხელმძღვანელობით იბრძოდა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მაშინაც უამრავი თაქტორი ცდილობდა დაკარგვოდა ქართველობას თავისი მეობა, მაგრამ რაკი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და იყო

კიდევ დამოუკიდებელი, სახე ჰქონდა თავისი. ცხადია ის სახე არა, დიდი საქართველოს შვილს რომ გააჩნდათ ერთ დროს, მაგრამ აჩრდილი მაინც იყო მისი.

ასეთ ყოფაში ვართ ნაცხოვრები მთელი ორი საუკუნის განმავლობაში და გვინდა ქართველმა კაცმა ახლავე, ყოველი ნაბიჯი შოთა რუსთაველის გმირთა ღირსებით ან დავითისა და თამარის საქართველოს მოქალაქეთა შესაფერისად გადადგას.“ (ჯ. ლვინჯილია, ქართველ კაცთა სინამდვილე გვ. 364, 366.)

„საბედნიეროდ, როგორც ასოციაციის პროგრამისა და წესდების პროექტში აღნიშნული, ქართული ეროვნული მოძღვრებისათვის, იგივე თვითცნობიერების თეორიისათვის საქართველოში ნიადაგი ერთობ მყარია. საჭიროა მხოლოდ თავი მოვუყაროთ დღემდე შექმნილს და ამასთან XX-ე საუკუნის მიწურულისათვის ახლებურად განისაზღვროს ბევრი რამ. პირველ რიგში „ეროვნული ხასიათი“

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ღრმა რწმენით, პოლიტიკურ პარტიებს წაადგებათ იგი, რადგან თვალწინ გადაგვეშლება ქართული ხასიათის მოძრაობის მთლი ისტორიული პროცესი, მაღლა ამოიწვევა ჩვენი ქართული ბუნების უმთავრესი ნიშნები.

ჩვენ თითქოს ყველამ კარგად ვიცით ქართველი კაცის ღირსება და ნაკლი!... გვერწმუნოს ყველა, რომ დღემდე ეს ცოდნა მეტისმეტად ზოგადია და დაუზუსტებელი! ამ ცოდნამ ყოველ ჩვენთაგანში სულ სხვა ხარისხი უნდა შეიძინოს.

ჩვენი მომავლის საქართველოს ვერ ავაშენებთ ცოდნის ამ განსაკუთრებული ხარისხის მიღწევის გარეშე. ჩვენ მთელი სტრუქტურა უნდა გავითვალისწინოთ ეროვნული ხასიათის, მთელი მისი სულიერი ანატომია, ყველა არსებითი და „მეორეხარისხოვანი“ დეტალი თუ ნიუანსი, რადგან ხშირად სწორედ არარსებით დეტალად მიჩნეულ თვისებას წამოუყვია თავი და გაუფუჭებია საქმე“.

რომელ ქართულ სამყაროზეა საუბარი, როდესაც სულს ვღვავთ, გაიფიქრებს მავანი. შესაძლოა ამ განწყობას ვერც ზედსართავმა სახელმა უშველოს - „ანდამსხვრეული“. საერთოდ წარსულშიც თუ არსებობდა რაიმე ქართული სამყაროს მსგავსი, ესეც საეჭვოდ გვიქცია ამდენი ხნის შეჭირვებამ. შეჭირვებულ საქართველოზე

ამდენი ფიქრით ქართველი კაცი თავს რატომ აიტკიებდა, სწორედ ის დიდი ქართული სამყარო რომ აქეზებდეს საამისოდ?

იმპერიულ სულისკვეთებას ისედაც გვიკიჟინებენ და ამთავითვე ვთხოვ ოპონენტს ამ სიტყვათშეთანხმებაში დიდმპყრობელურ შინაარსს ნუ ჩადებს. ქართული სამყარო, გაცილებით უფრო დიდი ცნებაა, ვიდრე ნებისმიერი იმპერია.

ქართული სამყარო ნიშნავს ქართული სულის მეობის, კულტურის, მიზნის თავისთავადობასა და განუმეორებლობას. ქართული სამყარო მხოლოდ ქართულს ნიშნავს, ქართულ ხერხემალს, ქართულ სულისკვეთებას. მასთავითონ აქვს ტერიტორიები დაკარგული, შესაძლოა ერთი იმდენიც კი, რამდენიც შეინარჩუნა, მაგრამ ამ შემთხვევაში ტერიტორიაზე არ ვამახვილებ ყურადღებას. ქართული სამყარო, თავისთავადობითა და განუმეორებლობით, ღმერთის მიერა გაჩენილი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული სხვა ეროვნულ ერთეულთა შორის, რომლისგანაც შედგება საბოლოოდ კაცობრიობა.

ეს ქართული სამყარო დამსხრეულია ამჟამად, ჩვენ მის ნანგრევებს ვუმზერთ ჩვენს ირგვლივ და ჩვენსავე სულში. ამიტომ ვართ ასე შეშფოთებული და მწუხარნი. ამიტომაც შევიმართეთ ამ სამყაროს აღსადგენად. ახლა ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრება, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩვევა და ჩვეულება!.. ყველაფერი ეს, როგორც გიგანტური ქანდაკების ტანი, ახლა დაქუცმაცებულია, უხეშად არის დამტვრეული. დიდი ხელოვნება, დიდი ლიტერატურა, დიდი ფოლკლორი, დიდი მეცნიერება მიჩქმალულია, მტვერი აქვს წაყრილი, საგანგებოდ უკან არის დანეული.

„უკვე შექმნილ შედეგებს რას უზამდნენ, ვერაფერი მოუხერხეს, ვერ შელახეს, მაგრამ გზა გადაუკეტეს, სივრცე დაუხშეს, ჩრდილსა და ბნელში გამოუღმეს თვალები. ჩვენ კი ვგრძნობთ მის სიღიადეს, მაგრამ ვერ ხედავს ამოდენა მსოფლიო. აქა-იქა თუ გამოარღვეს ძვირფასი ქვის შუქი სიბნელეს და ნიშანს მისცემს კაცობრიობას თავისი არსებობის შესახებ. გავძალიანდით, მაგრამ მაინც მოახერხეს დამახინჯება. ახლა ყველაფერში უნდა ვეძებოთ ის, ის ქართული! თუ კი გადარჩა სადმე

ყველაფერში უნდა აღსდგეს იგი-ქართული ქცევა, ქართული ქცევა, ქართული წესი, ქართული ზრდილობა, ქართული ჭიშკარი, ქართული ეზო, ქართული აივანი, ქართული ჩუქურთმა, ქართული ბუხარი, ქართული გამარჯვება, ქართული მიგებება, ქართული მიპატიჯება ქართული სმა და ქართული ჭამა“.

ჩვენ ყველაფრის აღდგენა მოგვინებს, დიდი დრო და ენერგია დაჭირდება მთლიანი ქართული სამყაროს გამოძენას. მაგრამ ეს უდიდესი მიზანი ისეთი ცხოველყოფილი ენერგიით ავსებს ჩვენს არსებას, არა მგონია წინ რაიმე დაგვიდგეს. (ჯ. ლვინჯილია, ქართველ კაცის სინამდვილე, გვ. 394, 397.)

როგორც დასაწყისში ავლნიშნეთ, 90-იან წლებში საქართველომ უხვად დაიწყო სხვა კერძოდ, დასავლელი ეთნოსების, მიერ შემუშავებული სისტემების იმპორტი, ნაჩქარევი ტემპებით, რათა შევსო ის პოლიტიკური ვაკუმი, რომელიც გაჩნდა ქვეყანაში საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მაგრამ გარდა იმისა რომ იმპორტირებული პოლიტიკური კულტურა და სისტემები არ იყო ქართულ ისტორიული, თუ თანამედროვე რეალობაში გენერირებული, არსებობდა კიდევ ერთი უდიდეს პრობლემა, საქართველოს პოლიტიკური სივრცე შეავსო, არა ერთი რომელიმე კონკრეტული ეთნოსის პოლიტიკურმა აზრმა, არამედ რამოდენიმე სხვადასხვა პოლიტიკურმა სისტემამ, რამაც თავის მხრივ პრობლემები წარმოშვა ქართულ პოლიტიკურ სისტემაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იმპორტირებული პოლიტიკური სისტემები არ იყო გათვლილი ქართველ ეთნოჯგუფზე. ამასთან ერთად ქვეყანამ ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების დეკლარირება მოახდინა და დაიწყო რთული გარდამავალი პერიოდი, რომელსაც მოჰყვა ე.წ. კულტურული დაგვიანების ფენომენი, როცა აუცილებელი გახდა არამარტო კონკრეტულად პოლიტიკური სისტემისა და კულტურის გენერირება, არამედ ზოგადად ახალი შედარებითი ადაპტირებული სოციალური ნორმების გამომუშავება ეს ის პერიოდია, როცა ძველი ნორმები ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოების პროგრესისათვის არსებულ აუცილებელ მოთხოვნებს ახალი ოპტიმალური ნორმების გენერირება კი ვერ ან ძალზე ნელა ხდება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებას და სოციო პოლიტიკურ

ინსტიტუტებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საკუთარი პოლიტიკური სისტემის, იდეის გენერირების პროცესი, უფრო მეტიც, საკუთარ იდენტობაზე დამყარებული პოლიტიკური საზრისების გენერირების საჭიროება ძალიან ვიჭრო წრეში თუ არის გააზრებული.

„თუ გადავხედავთ მსოფლიოს ქვეყნებს, აშკარა გახდება რომ ყველა დემოკრატიული ქვეყნის დემოკრატია განსხვავებულია. იაპონური დემოკრატია ასევე განსხვავდება გერმანული ან ფრანგული დემოკრატიისაგან, როგორც ბამბუკისაგან მუხის ხე. იმის თქმა გვსურს, თუ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებს დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ამქვეყნებში არსებულ დემოკრატიული წეს-წყობილებები განყენებული იდეალური დემოკრატიული მოდელები კი არ გახლავთ, არამედ საკუთარ თავში მოიცავენ ერის ეროვნულ და კულტურულ იდენტობასა და სწორედ აქედან გამომდინარე ქმნიან უნიკალურ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ დემოკრატიულ სისტემებს. ყველა სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულმა ეთნოსმა აითვისა დემოკრატია იმდობით და იმ ფორმით რამდენის სამვალეზაც მისცა მას ამ ერის კულტურამ. იმის თქმა გვსურს, რომ ქართველ ეთნოსს მისი პოლიტიკური თუ სოციალური ინსტიტუტებით საკუთარი უნიკალური და ყველასაგან განსხვავებული დემოკრატია აქვს შესაქმნელი. ‘ ირგვლივ მიმოიხედეთ , რათა თვალთ მოვფერებოდით შინაგანად თავისუფლები ჩვენს მშობლიურ კერას და გარემოს, რასაც აქამდე ათასი ხარისხის მონის თვალეზით მივჩერებოდით და თავზარი დავგვეცა. აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი მშობლიური კერა, ეზო და გარემო, დედულ-მამული გაპარტახებულია. აქამდე ამას ვერ ვამჩნევდით. პატიმრისა და მონის თვალეზი საგანთა ნამდვილ მდგომარეობას ვერ აღიქვამდა. მონობის ლიბრი გადაგვკროდა თვალეზზე. ახლა, როდესაც თვალეზი მოვიტყვნიტეთ, ეპიზოდურად, მაგრამ მაინც რომ ვიგრძენით თავისუფლები მადლი, თვალეზიც აგვეხილა, ნამდვილი სურათის უკეთ დანახვა შევძელით და რას ხედავს ჩვენი თვალეზი. აშლილი ვართ ჩვენც და აშლილია ჩვენი საქართველოც, აწვნილია მისი ყოველი კუთხე, წართმეულია მინეზი, გადაცემულია სხვა ქვეყნეზისათვის, გაყიდულია მინეზი აქვე, მიყიდულია უცხო ხალხისთვის. რაც დარჩა იმის წართმევაც კი გვემუქრება.

ახლა თვალნათლივ დავინახეთ, რა უბედურებაშიც ვართ ჩაცვივნილები. ფეხზე წამოვიჭვრიტ, ნაპატიმრალი ტანის ერთი წუთიც ტახტზე მისვენება ვერ მოვასწარიტ. ფეხზე დავდექით უბედურები. ახლა ჩვენ წამდვილი ჭირისუფალნი ვართ.

თუ მთელი ხალხი არ ქცეულა ჭირისუფლად თავისი ქვეყნისა, მისი გონების ძალა იქცა! მთავარია ეს არის მთელი ორგანიზმის გაღვიძება ეს პროცესია, მთელი ქართული ერი გაიღვიძებს ხვალ.“ (ჭ. ღვინჯილია ქართველ კაცთა სინამდვილე, წ. 1992. გვ. 398)

ქართული ღირებულებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართველები ყველაზე მეტად საქართველოს ეკლესიას ენდობიან, ნდობა კი როგორც მოგეხსენებათ ის ფაქტორია, რომელიც დიდწილად განაპირობებს მიმართული სოციალური იმპულსის ხასიათს და ინტენსივობას. თუ სოციალური ნდობის სტრუქტურას და მიმართულებას გაავანალიზებთ დავინახავთ, რომ სოციალური იმპულსი, რომელიც მიმართულია ხელისუფლების სამივე შტოს მიმართულებით, როცა მართმადიდებლური ეკლესიისაკენ მიმართული სოციალური იმპულსი 54%-ს შეადგენს, ეს გახლავთ მარტივი მათემატიკური ახსნა იმისა თუ რატომ „დარბოდნენ“ ქართველი პოლიტიკოსები ასე აქტიურად საპატრიარქოში, 2007წლის 7 ნოემბრის პერიოდში, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის შემდეგ. თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სოციალური იმპულსის 54% ქართული პოლიტიკის მიერ აუთისებელია და მიმართულია იმ ინსტიტუტისაკენ, რომელიც უდავოდ აწარმოებს საკუთარ პოლიტიკას, მაგრამ ამასთან ერთად, სამართლებრივად ქართული პოლიტიკური სისტემის ფარგლებს მიღმა იმყოფება. მიუხედავად საპატრიარქოს როგორც რელიგიურ სოციალური ინსტიტუტის აპოლიტიკურობისა ეს უკანასკნელი ხშირად ნებით თუ უნებლიედ, იძულებული ხდება ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში, ერთ მხრივ, ქართული პოლიტიკური სისტემის უუნარობიდან გამომდინარე, ეფექტურას გადაჭრას შიდა სოციოპოლიტიკური კომფლიქტები და მეორე მხრივ ქართველი საზოგადოების ნდობიდან გამომდინარე, რომელიც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საზოგადოებრივ მოთხოვნას საპატრიარქოს ჩართულობაზე პოლიტიკურ პროცესებში. ყოველივე ზემოთაღნიშნული კი თავის

მხრივ, განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ქართული პოლიტიკური პროცესები ხშირად ცდება სამართლებრივ ჩარჩოებში.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, აუცილებელია უნიკალური ქართული დემოკრატიის და პოლიტიკური აზრის გენერირება. ამ შემთხვევაში, აშკარა რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, რაიმე სახის პოლიტიკური იდენტობის გენერირება, როცა სოციალური იმპულსის 54% არ არის ჩართული ამ გენერირების პროცესში და იძლევა აშკარა გვერდით ეფექტს, პოლიტიკოსების საპატრიარქოში ხშირი ვიზიტების სახით, მაგრამ საკუთარი უნიკალური დემოკრატიისა და პოლიტიკური აზრის გენერირებისათვის საკმარისი არ არის მართლდენ სოციალური იმპულსი. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და სამართლებრივი სისტემა, სასამართლომ უნდა დაადგინოს ის სამართლებრივი კონტექსტი და ფარგლები, რომელშიც განხორციელდება ზემოაღნიშნული გენერირების პროცესი. ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს, რა მიმართულებით და როგორ უნდა განვითარდეს, ახალი ქართული პოლიტიკა, ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს ძირითადი ჩარჩოები, რათა კონსერვატიულ ქართულ კულტურასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის

მიღწეული იქნას სასიცოცხლო ბალანსი და ჩამოყალიბდეს ჯანსაღი კონკურენციის გარემო, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად დაედება პოლიტიკური სისტემის მდგრადობასა და უნიკალური ქართული დემოკრატიის გენერირების პროცესს.

მაშასადამე გამოიკვეთა ორი ძირითადი კომპონენტი, რომელიც აუცილებელია უნიკალური ქართული დემოკრატიის გამომუშავებისათვის, ეს არის საჭირო მიმართულებით მიმართული სოციალური მუხტი და ჯანსაღი ფუნქციურად გამართული ხელისუფლება, მაგრამ ვფიქრობ, აშკარა რომ სახელმწიფოებრიობის ეს ორი კომპონენტი აბსოლუტურად გათიშულია ერთიმეორისაგან, მიზეზი კი მარტივია საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ მხოლოდ 7,3%-ა. სირთულე რომელიც პირველ რიგში ჩენს წინაშე დგება არის ზემოაღნიშნული ორი კომპონენტის სასამართლოსა და ღირებულებებიდან გამომდინარე სოციალური იმპულსის ერთმანეთთან სიმბიოზური დაკავშირება. მაშასადამე საჭიროა გარკვეული

იდეოლოგიური და სისტემური კავშირის პოვნა, რათა ეს ერთი მხრივ, სოციო-პოლიტიკური მოვლენაა და მეორე მხრივ სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტი ერთმანეთს დაუკავშირდნენ, როგორ უნდა მოხდეს საკითხის გადაჭრა?

გვაქვს ხელისუფლების ერთი შტო სასამართლო და მძლავრი სოციალური იმპულსი, რომელიც მიმართულია ერთი

კონკრეტული ინსტიტუტის, ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მიმართულებით 54%. მაშასადამე სოციალური იმპულსისა და სასამართლო ხელისუფლების დაკავშირების გზა, ქართული მართმადიდებლურ ეკლესიაზე გადის. ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიას ამ შემთხვევაში შეუძლია იქცეს ზემოაღნიშნული სოციალური მუხტის საუკეთესო გამტარად, მაგრამ დღესდღეობით ქართლი მართმადიდებლური ეკლესია სამართლებრივად, ფუნქციურად და პრაქტიკულად, სრულიად ამოვარდნილია ქვეყნის იდეოლოგიური კონტექსტიდან.

2002წელს გაფორმებულმა საკონსტიტუციო შეთანხმებამ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რეალურად განაპირობა არა ეკლესიის ჩართულობა სახელმწიფოს საზოგადოებრივ სივრცეში, არამედ პირიქით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეკლესიას ხელშეკრულება გაუფორმეს და გვერდზე გასწიეს როგორც თანამედროვე საზოგადოებისათვის გამოუდევარი ინსტიტუტი. „სკანდინავიის ქვეყნებში ადამიანების მიერ საპენსიო ფონდში გახდილი გადასახადის მეათედი ეკლესიაში მიდიოდა. ეკლესიას აქვს სოციალური მსახურების ფუნქცია, ეს ქრისტეს უპირველესი მოძღვრება, მშვიერთა დაპურება. მაგრამ საქართველოს ეკლესია არის ღარიბი, მას არ აქვს ამის შესაძლებლობა, თუ ვინმეს მიაჩნია რომ ეკლესიას მხოლოდ რიტუალური ფუნქცია აქვს, ეს არასწორია სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ნდობა რომელიც ხალხში ეკლესიის მიმართ არსებობს, გამოსაყენებელია და ამიტომ უნდა დაეხმაროს ეკლესიას, რათა ამ უკანასკნელმა, თავისი უკანასკნელი ფუნქცია სოციალური მსახურების შესრულებას“. ამასთან ერთად არის საზოგადოებაში მოთხოვნა ეკლესიის ჩართულობაზე საზოგადოებაში.

ჯანაშია (2007) ღირებულებები, რომელსაც არ ვაღიარებთ, გაზეთი "24 საათი" ,
2007.03.2

აპრობირებული ევროპული მიდგომა ქართულ რეალობაში შესაძლებელია. როგორც ზემოთ აღნიშნეთ შემოტანილია კიდევ ერთი ინსტიტუტი სოციო-პოლიტიკურ სისტემაში, მონარქიის ინსტიტუტის სახით, რომელიც საკუთარი დატვირთვით წარმოადგენს ქვეყნის იდენტობის სიმბოლოს და არა პოლიტიკურ, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ჩვენ შემთხვევაში ეს ინსტიტუტი ახორციელებს გარდამავალ ფუნქციას და გამოდის სოციალური მუხტის გამტარის როლში. თუ ეკლესია არსულებს წმინდა სოციალურ როლს, მონარქია წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, რომელიც ახორციელებს ეკლესიის მიერ აკუმულირებულ სოციალური მუხტის გატარებას პოლიტიკაში. ჩვენს შემთხვევაში მონარქს ექნება მოსამართლეების დანიშვნის, დამტკიცების ფორმალური უფლება, შესაბამისი ცერემონიალური დატვირთვით, ხოლო მისი აპოლიტიკურობა საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლოს აპოლიტიკურობის გარანტიას. მონარქიის მჭიდრო კავშირი ქართულ ეკლესიასთან განაპირობებს სოციალური მუხტის გადასვლას სასამართლო ხელისუფლებაში, ქართულ საზოგადოებაში გამეფებული ღირებულებები კი, რომლებიც უმეტეს წილად განაპირობებენ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მიმართ ნდობას, სიმბოლურ გამოხატვას ჰპოვებენ სახელმწიფოებრივ სამართალში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ დაახლოებით იმავე სოციო-პოლიტიკური მექანიზმებია დანერგილი ევროპულ მონარქიულ სახელმწიფოებში. უფრო დეტალურად, რომ განვიხილოთ, ინგლისში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს „მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფალი“ ქვეყანაში, რომელმაც შექმნა ყველაზე დახვეწილი დემოკრატიული სისტემა, სასამართლო სისტემა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის უმაღლეს მეთაურთან მონარქთან. მოსამართლეები ინგლისში იღებენ ორი ტიპის სამართლებრივ და ერთგულების ფიცს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს იურიდიული ბაზა. ინგლისის სასამართლო სისტემის მონარქთან უწყვეტ კავშირზე მეტყველებს ინგლისის სასამართლო სისტემაში, ისეთ სასამართლოების არსებობა როგორცაა „Queens bench და crown court“. ამასთან

ერთად მონარქი 2005წელს მიღებული კონსტიტუციური რეფორმის აქტის თანახმად, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების გარდა (რომელსაც 2005წლამდეც ნიშნავდა),ნიშნავს სხვა უფრო დაბალი რანგის მოსამართლეებსაც. მნიშვნელოვანია რომ ეს ნორმა 2005წელს არის მიღებულ, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ნორმა თავის მხრივ არ წარმოადგენს ისტორიულ გადმონაშთს, მოთხოვნა ამ ნორმაზე თანამედროვეობაში არსებობს.

ინგლისის მაგალითიდან გამომდინარე გასაგებია სასამართლოს სამართლებრივ იდეოლოგიური კავშირი სახელმწიფოს და მონარქთან. საქართველოს შემთხვევაში გასააზრებელია ის მომენტი, რომ სასამართლო სისტემას და მოსამართლეებს გარდა სოციალური და სამართლებრივი გარანტიების, სჭირდებათ იდეოლოგიური გარანტიებიც.

პოლიტიკურ სიტემაში მონარქიის აპოლიტიკურობა და ეკლესიის მიერ აკუმულირებული სოციალური ნდობა უნდა იქცეს იმ ნორმალურ იდეურ ბაზად, რომელიც დაეხმარება ნებისმიერ მოსამართლეს გამოიტანოს სამართლიან კანონზე დამყარებული გადაწყვეტილება და შექმნას რეალური სოციო-პოლიტიკური გარანტიები. ამ შემთხვევაში მოსამართლე აღარ იქნება მარტო ძლიერი პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა ოლიგარქიული და პოლიტიკური „კლანების“ წინაშე. მას ზურგს გაუმაგრებს ორი ყველაზე ძლიერი და მასობრივი ნდობით აღჭურვილი სოციალური ინსტიტუტი ქვეყანაში და პრაქტიკულად, მთელი ქართული საზოგადოება. ქართული სოციო-პოლიტიკური სისტემა კი შეიძენს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო ე.წ. პოზიტიურ ტრანსფორმაციის უნარს, ანუ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სოციალურ და ინტერესთა ჯგუფებსა და ფენებს შორის არსებული და მომავალში წამოჭრადი კომფლიქტების ოპტიმალური გადაწყვეტის და ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ პრეცედენტად გარდაქმნის უნარს. ნდობით აღჭურვილი სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტის მიერ რაციონალურ-ოპტიმალური სისტემის უწყვეტ განვითარებას. ყოველივე ზემოთაღნიშნული საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყანაში სოციო-პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას, კანონის უზენაესობასა და უნიკალური ქართული დემოკრატიის გენერირების პროცესს. კანონის უზენაესობა კი უმთავრესია,

როგორც დემოკრატიის, ასევე ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის. ეკონომიური პროდუქტიულობა, სამეწარმეო საქმის განვითარება პირდაპირ კავშირშია კანონის უზენაესობის საკითხთან.

თავი III. პოლიტიკური სისტემა და მოქალაქეთა მონაწილეობა პოლიტიკურ გაერთიანებებში

3.1. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა

პოლიტოლოგებმა და პოლიტიკურმა რეფორმატორებმა დიდი ხანია გააცნობიერეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სახელმწიფოებრივი სისტემის რღვევის საშიშროება იმ ჯგუფის მხრიდან, რომელიც გამოხატავს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინტერესებს. მაგ. პროფკავშირები ან კორპორაციები XIX საუკუნის ბოლოს პროგრესული რეფორმატორები ამტკიცებდნენ, რომ მორგანს და სხვა

ფინანსურ და სანარმო მაგნატებს, თავიანთი სურვილის მიხედვით შეეძლოთ „შეესყიდათ“ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების წარმომადგენელი. რუზველტის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ძირითადი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხილვა მას უხდებოდა „სინდისთან“. საუბარია სიდნი ჰილმანზე, პოლიტიკური მოძრაობები კომიტეტის ხელმძღვანელზე, რუზველტის ერთგულ მომხრეზე „უოტერგეიტის საქმის“ კვლევის შედეგად 70-იანი წლების დასაწყისში აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური მოღვაწეები რეგულარულად იღებდნენ ქრთამს დიდი რაოდენობით, რომ დაეცვათ ქრთამის მიმცემთა ინტერესები.

მსგავსად სხვა ქვეყნებისა, საქართველოშიც პარტიების შემოსვლის ერთ-ერთ წყაროს სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ, პირველ რიგში ჩვენი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან საბიუჯეტო სახსრებით პარტიების დაფინანსებაზე გამახვილდა. პოლიტიკური პარტიების საქმიანობას საქართველოში არეგულირებს „**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ**“, ორგანული კანონი, რომელიც მიღებულია 1997წელს. ამ კანონში თავიდანვე ჩაიდვა ნორმა, რომელმაც განსაზღვრა პარტიების სახელმწიფო დაფინანსების საკითხი. კერძოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უნდა გამოეყოს თანხები პარტიებს ორგანიზაციული და სხვა საქმიანობისათვის. აღნიშნული თანხა უნდა განაწილებულიყო იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე, რომლებიც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდნენ პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მეტს, თანხის ოდენობა კი უნდა განსაზღვრულიყო ბიუჯეტით. ამავე კანონის გარდამავალი დებულებით განისაზღვრა ისიც, რომ აღნიშნულ დაფინანსებას პარტიები მიიღებდნენ 2000წლის 1 იანვრიდან, თუმცა რეალურად კანონის ეს მოთხოვნა მისი მიღების მომენტიდანვე არ სრულდებოდა და არც მითითება გაკეთებულა დაფინანსების გადავადებაზე.

ნაცვლად ამისა, საქართველოს პარლამენტმა 2000წლის 19 მაისს მიიღო დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა

ამომრჩევლებთან ერთიერთობის ორგანიზებისათვის, პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, თითოეულ წევრზე ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა 150 ლარი, რომელიც ირიცხებოდა შესაბამისი პარტიის ანგარიშზე. აღნიშნულმა ნორმამ განიცადა ცვლილებები და ბოლოს, 2005 წლის 25 თებერვალს განისაზღვრა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრებისათვის გამოყოფილიყო 200 ლარი და ეს თანხა ჩარიცხულიყო იმ საარჩევნო სუბიექტების ანგარიშებზე, რომლებმაც არჩევნებში გადალახეს ბარიერი. თუმცა პარლამენტის წევრს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა აღნიშნული თანხის ჩარიცხვა იმ პარტიის ანგარიშზე, რომლის წევრიც იგი იყო.

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 19 მაისის დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის დადგენილებით, რომელიც აღარ ითვალისწინებს პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრებისათვის თანხების გაცემას.

ზემოთ მოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში ორ საინტერესო ფაქტს წავაწყდით:

1. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებაში თავიდანვე განისაზღვრა, თანხები ჩარიცხულიყო შესაბამისი პარტიის ანგარიშზე, 2002 წლიდან აღნიშნულ თანხას პარლამენტის წევრები იღებდნენ ინდივიდუალურად. როგორც პარლამენტიდან 2006 წლის 3 ნოემბერს, გვაცნობეს აღნიშნული განპირობებული იყო საპარლამენტო ფუნქციების დაშლით და სხვა ფრაქციების შექმნით.
2. პარტიების ანგარიშზე აღნიშნული თანხის ჩარიცხვა დაიწყო 2005 წლის მარტიდან.
3. ვინაიდან 2005 წლიდან შემოსენებული თანხა ირიცხებოდა პარტიის ანგარიშზე, პოლიტიკურ პარტიებს „რესპუბლიკელები“ „ახალი მემარჯვენები“ და „კონსერვატორები“ შემოსავლის ერთერთ წყაროდ მითითებული ჰქონდათ სახელმწიფო დაფინანსება. რაოდენ გასაკვირიც არ

უნდა იყოს, არც ფინანსთა სამინისტრო და არც ცენტრალური საარჩევნო კომისია არ ფლობდა ინფორმაციას, პარტიების მიერ დეკლარაციაში მითითებული დაფინანსების წყაროს შესახებ. ორივე უწყებამ გვიჩვენა, პარტიებისათვის მიემართათ და ჩვენთვის საინტერესო საკითხი ამ გზით გაერკვიათ. სწორედ პარტიების მეშვეობით შეძლეს ინფორმაციის მოპოვება პარლამენტის ზემოთ მითითებული დადგენილების თობაზე.

2005 წლის 16 დეკემბერს ორგანულ კანონში განხორციელდა ცვლილება 30-ე მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა ;პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც პარლამენტის უკანასკნელ საერთო არჩევნებში გადალახეს 4%-იანი ბარიერი. ყოველწლიურადსახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა გამოეყოფა მიღებული ხმების შესაბამისად.

რადგანაც პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ გარკვეულ თანხას, საინტერესოა კონტროლის პალატის მიერ პარტიების შემონჯების აქტებით, რომელიც შეგახსენებთ, უფლებამოსილია შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან, გადარიცხვასთან ან გამოყენებასთან რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მის მართვასთან, აგრეთვე იმ ნაწილში , რომელიც დაკავშირებულია მმათთვის საგადასხადო, საბაჟო ან სხვა სახის შეღავათების მინიჭებასთან.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, საქართველოში აღსდგა დემოკრატიული პოლიტიკური წყობაც, ბუნებრივია ამის შედეგიც იყო პოლიტიკური პარტიების სისტემის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს სისტემა არსებითად განსხვავდება, როგორც 1918-21 წლების საქართველოს რესპუბლიკის, ასევე თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმეტესობის პარტიული სისტემებისაგან.

1918-21 წლებში ქართული პოლიტიკური პარტიები ეფუძნებოდნენ სხვადასხვა კონკრეტულ იდეათა სისტემებს. ძირითადი პარტიები იყვნენ: „სოციალ- დემოკრატები“,

ან ე.წ. მენშევიკები, რომელთაც შეგვიძლია ვუწოდოთ ევროპული ტიპის სოციალ დემოკრატები, რადგან სოციალისტების ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარიზმის მომხრე ნაწილი 1918წლისათვის უკვე მთლიანად იყო ცალკე გამოყოფილი ბოლშევიკების სახელწოდებით; კონსერვატორი, „ეროვნულ დემოკრატები“, და მემარცხენე ლიბერალები უცნაური სახელწოდებით „სოციალისტ-ფედერალისტები“.

1991 წლიდან დღემდე არსებულ ძირითად პოლიტიკურ ძალებს არ ახასიათებს მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიები. ამის ნაცვლად, აქცენტი კეთდება ლიდერების ქარიზმატულობაზე და მოსახლეობის დარწმუნებაში, რომ მათ მიერ არჩეული ლიდერი ყველაფერს გააკეთებს მათი კეთილდღეობისათვის. რაც შეეხება პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ისინი ძირითადად პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ, ან კიდევ საერთოდ არ გააჩნიათ ეს ძალები ან ერთდროულად აქვთ სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო იდეური ტენდენციები.

რაც შეეხება პირველ დამოუკიდებლობის პერიოდის პოლიტიკურ ტრადიციებს საქართველოში ისინი სრულიად მივიწყებული იყო. სწორედ ამიტომ 1991 წელს მეორე რესპუბლიკის შექმნისას, ქართული პოლიტიკური ელიტა არ იყო მზად ახალ იდეებზე დამყარებული პოლიტიკისათვის, განსხვავებით 1918-21 წლების პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური საზოგადოებისაგან. ეს ტენდენცია დღემდე არსებობს, მაგრამ მუდმივად არ გრძელდება ეს იდეოლოგიები.

არსებობს ის ფაქტი, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორც წესი იდეოლოგიური პარტიათა სისტემები ყალიბდება. შესაბამისად თუ კი საქართველო დარჩება დემოკრატიული, უნდა გავაცნობიროთ, რომ თანდათან ძირითადი პოლიტიკური ძალები ამა თუ იმ მკაფიო იდეათა სისტემის ბაზაზე ჩამოყალიბდებიან.

ამ იდეის განხორციელებას შეიძლება სხვადასხვა ფორმების წარმოშობა მოჰყვეს. მაგ. შეიძლება „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდეს „მემარცხენე ცენტრისტული პარტია, ხოლო ნაციონალური მოძრაობა მკაფიოდ მემარჯვენე-ცენტრისტულ ძალად და შედეგად ორ პარტიული პოლიტიკური სისტემა დამკვიდრდეს. თუმცა თუ შევხედავთ სხვა ევროპულ პოსტკომუნისტურ დემოკრატიულ ქვეყნებს, თითქმის

ყველგან ჩამოყალიბებულია მრავალპარტიული სისტემა. ამ ქვეყნების პარლამენტში, ბოლო არჩევნების შედეგად 5%-ზე მეტი ხმით შესულნი არიან: ესტონეთში-4, ლატვიაში-5, ლიტვაში-7, პოლონეთში-5, ჩეხეთში-5, სლოვენიაში-6, სერბეთში-6, ჩერნოგორიაში-4, მაკედონიაში-4, მხოლოდ ხორვატიასა და ალბანეთში დომინირებს ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა.

დღეისათვის რთულია იმაზე საუბარი, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ძალებს, როგორი იდეოლოგიური განვითარება ელოდებათ. თუმცა არსებობს გარკვეული საფრთხეებიც, შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვა პარტიებიც; მაგ. ნეობოლშევიკური ძალა, აგრეთვე რეაქციული რადიკალური ჯგუფები. ამავე დროს საქართველოში არის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ამ ვითარებას შეიძლება მოჰყვეს მდგომარეობის გაუარესება, ხელისუფლების შეცდომების ან გლობალური ეკონომიკური პროცესების დაცემის შედეგად. ამ დროს კი, რადიკალურ ჯგუფებს ეძლევათ საშუალება მათი პოზიციები და ძალები გაზარდონ. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ არსებობს, როდესაც დიდ იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური ძალების სისტემის საბოლოო დამკვიდრებამდე,

ანუ იმ პერიოდში, როდესაც ასეთი სისტემა ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა ჯონ ბასმა საქართველოში „ატლანტიკურ საბჭოში გამართულ დისკუსიაზე“, „საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები; წარსული, აწმყო, მომავლის“, მოხსენება გააკეთა. ის საუბრობდა საქართველოს საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებსა და სირთულეებზე. ჯონ ბასმა საქართველოში არსებულ ერთერთ მთავარ პრობლემად ტოლერანტობის ნაკლებობა დაასახელა. მისი თქმით, განსხვავებული პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური მოსაზრების მიმართ დამოკიდებულება არატოლერანტულია. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს წინასაარჩევნო კამპანიისთვის ეთნიკური და რელიგიური შოვინიზმის გამოყენების ნიშნები.

იგი საუბრობს, რომ აშშ-ს დახმარება საქართველოსადმი დამოკიდებული იქნება საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებაში და აღნიშნა, რომ ქვეყანაში

მოდერნიზაციაზე უფრო მეტი ენერჯიაა დახარჯული, ვიდრე დემოკრატიზაციაზე, რაც საზოგადოების განწყობით არის განპირობებული. საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და კეთილდღობა დამოკიდებული იქნება მის დემოკრატიის ხარისხზე. საქართველოში ამერიკული ინვესტიციების, ინტერესების და ყურადღების გაგრძელება მომავალში, ისევე როგორც დღეს არსებითად იქნება დამოკიდებული მის დემოკრატიის გაგრძელებაზე. ჯონი ამბობს, რომ ხშირად დასკვნები ანალიტიკური უნარების გამოყენების გარეშე, რეალობას მოკლებულ არგუმენტებზე კეთდება.

3.2 პოლიტიკური ბაზარი

თავისუფალი ბაზრის მექანიზმი კარგად ხსნის რესურსების განაწილების პროცესს. თუმცა, რადგან ბაზარს ახასიათებს ე.წ. ჩავარდნა; როგორც წესი მთლიანი შიდა პროდუქტის სულ მცირე მეოთხედი იქნება საზოგადოებრივ ისტორიაში, რომლის რაოდენობას და ფასს ადგენს პოლიტიკური ბაზარი. ვერცერთი პოლიტიკური და მათ შორის დემოკრატიული სისტემა ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი ბაზრის ჩანაცვლებას, რადგან პოლიტიკური ბაზრის ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნა არ არის თანხვედრაში საზოგადოების უმრავლესობის საჭიროებებთან, ხოლო შემოთავაზებულ პროდუქტის მიმართ საზოგადოების წევრებს არ აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება, რის გამოც ადგილი აქვს უფრო დიდ ჩავარდნას. ისმის კითხვა; როგორ ხდება ფასწარმოქმნა პოლიტიკურ ბაზარზე? როგორც ავლნიშნეთ პოლიტიკური მხარდაჭერის ძირითად წყაროს წარმოადგენს სპეციალური ინტერესები. მაგ. ამომრჩეველთა ჯგუფს სურს სოფლის მეურნეობის პროდუქტზე ტარიფის შემოღება იმ განზრახვით, რომ დაიცვას ადგილობრივი პროდუქტი, რომელიც ძვირდება. რაც წარმოქმნის დამატებით ხარჯებს, ყველა მომხმარებელზე და ასევე იმ მიმწოდებელზე, რომლებიც ახორციელებენ პროდუქტის იმპორტს ბაზარზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც პოლიტიკური პარტია ამომრჩეველთა ჯგუფს ჰპირდება სპეციალური ინტერესების დაკმაყოფილებას, პოლიტიკური მხარდაჭერის ხარისხი ყველაზე მაღალია, ხოლო როდესაც სპეციალური ინტერესი არის მაქსიმალურად დაკმაყოფილებული, პოლიტიკური მხარდაჭერის ხარისხი ნულის

ტოლია. ამის საწინააღმდეგოდ, რაც უფრო მეტად იზრდება პოლიტიკით უკმაყოფილო ამომრჩეველთა რაოდენობა, მით უფრო მეტი შანსი აქვს პოლიტიკურ პარტიას მოიპოვოს მაღალი პოლიტიკური მხარდაჭრა ტარიფის შემცირების გზით . პოლიტიკური მხარდაჭრის ხარისხსა და უკმაყოფილო ამომრჩევლის სიდიდეს შორის არსებობს პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება, რაც პოლიტიკურ ბაზარზე ქმნის მინოდებას.

ბოლო პერიოდში ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში „პირდაპირ ელექტრონული მმართველობის“ შემოღებაზე ხშირად საუბრობს. მისი აზრით, პარლამენტის ფუნქციები უნდა შეიზღუდოს, ხოლო ყველა გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებმა ელექტრონულად უნდა მიიღონ; იგი აცხადებს რომ „ყველა ნაბიჯზე“ საჭიროა ხალხის თანამონაწილეობა და მუდმივი რეფერენდუმი. მისი თქმით არჩევნებიც უნდა იყოს ელექტრონული და ხშირ-ხშირად ჩატარდეს.

ძალიან მარტივია ყველა გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც შეიძლება საზღვარგარეთ ცხოვრობს. ეს იქნება მუდმივი რეფერენდუმი ყველა საკითხზე. პარლამენტი პრაქტიკულად თავის ფუნქციას დაკარგავს.

ძველ საბერძნეთში ხალხი იკრიბებოდა მოედანზე, ოღებდა ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის, სიკვდილის დასჯის დროსაც. შემდეგ მოედანზე ხალხი აღარც ეტეოდა გამრავლდნენ, ამიტომ აირჩიეს წარმომადგენლები და ისინი იკრიბებოდნენ , მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად.

ანტიკურ საბერძნეთიდან, ანუ დემოკრატიის პირველი სამშობლოდან მოყოლებული „ხალხის მმართველობის“ ქვაკუთხედი პერიოდული კენჭისყრა იყო ყველა თანასწორ უფლებიან მოქალაქის მონაწილეობით. 1990წლიდან ჩვენში არჩევნები იმართება. მართალია 1992 წელს ხელისუფლება არჩევნების გარეშე შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლას, იმავე წელს მოჰყვა ახალი არჩევნები. ეს ისტორია 2003-04 წლებშიც განმეორდა თუმცა არჩევნების **საკრალურობაზე** კიდევ უფრო მეტი ხაზგასმით. მმართველობის უმაღლეს ეშლონში მოსვლა მხოლოდ საარჩევნო ყუთისა და მოქალაქეთა ინტერაქციითა შესაძლებელი და სხვა ყველაფერი კრიმინალური და

პოლიტიკურად არაკორექტულია. ასევე მიღებულია, რომ არჩევნები კონკურენტული და მრავალპარტიული იყოს.

ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატია ამით არ მთავრდება და არსებითად: ვინ თვლის ხმებს, როგორია არჩეულისა და ამომრჩევლის პოსტსაარჩევნო ურთიერთობა ამჯერად დავივიწყოთ; არაერთხელ თქმული როგორც შინაური, ისე საერთაშორისო კრიტიკოსების მხრიდან, რომ სწორედ აქ გვაქვს პრობლემები და ამიტომაც ვართ „ჭიბრიდული რეჟიმი“

ამ მიმართულებებში გამოხატა შენიშვნები ეუთომ და ენდია აირაიმ, 2016-18 წლების ოქტომბრის მოვლენების მიმართაც. საინტერესოა რომ მათი დასკვნებით, ზემოთ ნახსენები „ჭიბრიდიზაცია“ მაინც ოპტიმისტურ კონოტაციას იძენს. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებით, ხელისუფალთა ყავლაგასული აროგანტობის პირობებში, მაგრამ ჩვენ მაინც მრავალსახოვანი, კონკურენტული საზოგადოება გამოვდივართ, ანუ წლიდან-წლამდე დემოკრატიზირებადი.

საქმე ისა რომ 2016 წლის ოქტომბერში განსაკუთრებით არჩევნების მეორე ტურში, თანასწორუფლებიანი მოქალაქეთა ნაწილს არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალა ეს ფაქტი არცერთ კანონს არ ექვემდებარება, აგრეთვე სიების არასრულყოფილებიდან დაწყებული და ყალბი პირადობებით დამთავრებული. მაშინ როდესაც საჯარო სამსახურის უფროსს თვალეებში უნდა შესცივინონ ამავე სამსახურის სხვა მოხელეებმა. სწორედ ამიტომაც ითვლება საქართველო „ჭიბრიდულ რეჟიმად“

ეროვნულ დემოკრატიული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დემოკრატია არის.

ანგელა მერკელი აცხადებს; „ფაქტია, რომ ეს არის ცალსახა ნიშანი იმისა, რომ მე მინდა მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენ გვაქვს სრულიად განსხვავებული მდგომარეობა. საქართველო არის ძალიან სწორ გზაზე, მიუხედავად არსებული პრობლემებისა და მათ შორის, ოპოზიციისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი რესურსები. კონკრეტულად მასმედია და მას შეეძლოს თავისუფლად განვითარება. რა არის დემოკრატია? ეს არის გამარჯვება არჩევნებში უმრავლესობის,

მაგრამ დემოკრატია არის ასევე მმართველი პარტიის მუდმივი შეგნება, რომ ერთ მშვენიერ დღს ის ისევე აღმოჩნდება ოპოზიციაში. ეს არის დემოკრატიის ანა-ბანა.“

3.4 არჩევნები და საარჩევნო სისტემა

როგორც საქართველოში, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები თანაბრად არ არიან ჩართულები პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით მოსახლეობის 60%-ს ეს ყველაზე დაბალი დონეა, რაც აღინიშნა რიგ ქვეყნებში, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, შვედეთს და ავსტრალიის ჩათვლით. არჩევნებში მონაწილეობის დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული; მაგ. იმაზე რამდენად მარტივაა დარეგისტრირებისა და ხმის მიცემის პროცედურა, ან იმაზე თუ ვის აქვს ხმის მიცემის უფლება. მაგ. იმის შემდეგ, რაც 1921 წელს ხმის მიცემა ავსტრალიაში გახდა სავალდებულო, ამომრჩეველთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 55%-იდან 90%-ზე ავიდა. როცა ხმის უფლება აქვთ ახალი ჯგუფის წევრებს მაგ. 18 წლის ახალგაზრდები ინგლისში. 1970 წელს არჩევნებში მონაწილეთა საერთო პროცენტი შეიძლება დაეცეს, რადგან ახალი ჯგუფების მონაწილეობის დონე არჩევნებსი დაბალია.

არჩევნებში მონაწილეობის დონე მნიშვნელოვნადა დაკავშირებული სოციალურ ეკონომიკურ სტატუსთან და ადამიანთა განათლებასთან. რაც უფრო მაღალია ადამიანის სოციალური სტატუსი, მით უფრო მაღალია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მისი მზაობა. განათლებული ადამიანები უფრო აქტიურად არიან დაკავებულები პოლიტიკით, განსაკუთრებით მაშინ როცა გრძნობენ, რომ ხმის მიცემა და პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალურ ცვლილებებს.

დღეისთვის ბევრი სახელმწიფო ირჩევს შერეულ საარჩევნო სისტემას. თავის დროზე მისი საქართველოში შემოტანა გერმანიის გამოცდილებისა და მაგალითის გათვალისწინებით მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანაში დღემდე წარმატებით მუშაობს ეს სისტემა. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა შემდგომი არჩევნებისათვის, შერეული (მაჟორიტარული და პროპორციული კომბინირებული ვარიანტი)

საარჩევნო სისტემის პროპორციული საარჩევნო სისტემით შეცვლას ითხოვს. ამასთან არცერთი პარტია არ აზუსტებს, პროპორციული სისტემის კონკრეტულად რომელ მოდელს უჭერს მხარს და რატომ. ასევე ნაკლებად ვხდებით შერეული საარჩევნო სისტემის არგუმენტირებულ კრიტიკას და მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ არის აღნიშნული მოდელი არაეფექტური და წარუმატებელი საქართველოს შემთხვევაში.

რა არის ამ სისტემის კრიტიკის საფუძველი საქართველოში? რატომ არ მოსწონს ოპოზიციური პარტიების შერეული სისტემა? რატომ მოითხოვენ ისინი მაჟორიტარულ სისტემის გაუქმებას? და ამის საპირისპიროდ, რატომ იყო დ აარის ხელისუფლებაში მყოფი ყველა პარტია ამ სისტემის შენარჩუნების მომხრე?

შერეულ საარჩევნო სისტემაში კრიტიკის საგანი და შესაბამისად ცვლილების სამიზნე მაჟორიტარული წესით დეპუტატების არჩევა, საქართველოს პარლამენტარიზმის გამოცდილება ადასტურებს, რომ მაჟორიტარული წესით, იირჩევიან მმართველი პარტიის მხარდაჭერის მქონე მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსებით იოლად იგებენ მაჟორიტარულ ოლქებს და შემდეგ მორჩილად ემსახურებიან სახელისუფლო პარტიას. თუმცა, იმავდროულად ხშირია შემთხვევა, როცა ისინი პარტიულ კუთვნილებასაც იცვლიან იმის მიხედვით, თუ რომელი პარტიაა ხელისუფლებაში.

სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, მათ შორის ისინიც, ვისაც წინა წლებში საარჩევნო კოდექსის შეცვლა ხელეწიფებოდა, თუმცა პირიქით თავის სასარგებლოდ იყენებდა. არსებულ სისტემას აცხადებენ, რომ შერეული საარჩევნო სისტემით ვერ ვიღებთ „**დაბალანსებულ ხელისუფლებას**“. რთული სათქმელია, რომ იგულისხმება ზუსტად. „**ხელისუფლების დაბალანსებაში**“. ალბათ ის, რომ მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებით სახელისუფლებო პარტია უზრუნველყოფს სისტემას, რაც საბოლოო ჯამში მთელი ძალაუფლების ერთი პარტიის ხელში თავმოყრით მთავრდება და დაუბალანსებელი ხელისუფლების მიზგზი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია მართველი გუნდის შიგნით ძალაუფლების განონასწორებაზე.

შერეული საარჩევნო სისტემის კრიტიკის ავტორებს „ხელისუფლების დაბალანსების“ გასაღებია. კოალიციურ მთავრობას და აბსოლიტურ უმრავლესობის არმქონე პარტიებით ფორმირებულ პარლამენტში ჰგონიათ, რომ ამის მიღწევის გზა მარტივად მაჟორიტარული წესით არჩევნების გაუქმებაა. პოლიტიკური პარტია ეს არის პოლიტიკური გავლენის ერთერთი ძირითადი წყარო. პარტია მოქმედებს როგორც შუამავალი ინდივიდსა და შუამავალს შორის. ის აგროვებს ინფორმაციას მთავრობისა და მისი პოლიტიკის შესახებ, გამარტივებული ფორმით აწვდის მას ამომრჩეველს, წარადგენს კანდიდატებს პოლიტიკურ პოსტზე და ატარებს კამპანიას მის მხარდასაჭრად.

პარტიულ ორგანიზაციას ხშირად უწოდებენ უბრალოდ ორგანიზაციას ან აპარატს. მასში შდის ოფიციალური პარტიული ხელმძღვანელობა, ზოგი გავლენიანი პიროვნება, სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი დონისა და პარტიული ბიუროკრატის პარტიული ხელმძღვანელები. პარტიული ორგანიზაცია მოიცავს ყველა ადამიანს, რომელიც გასცემს თავის დროსა, ფულსა და ცოდნას პარტიის საკეთილდღეოდ, ასევე იღებს გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას პარტიის სახელით.

თანამედროვე დემოკრატიაში საარჩევნო ბრძოლა, ჩვეულებრივ პოლიტიკურ პარტიათა შორის შეჯიბრის სახეს იღებს. პოლიტიკური პარტია არის მოქალაქეთა ნებაყოფილებითი გაერთიანება, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით იქნება და როგორც წესი საერთო მსოფლმხედობრივ პრინციპებს ემყარება. საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება შექმნან პოლიტიკური პარტია თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

არსებული კანონმდებლობით პოლიტიკური პარტიის დაფუძნება რთული არ არის. იმისათვის, რომ პარტიის დაფუძნებული ყრილობა კანონიერად ჩაითვალოს, მასში არანაკლებ სამასმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა. დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის

პროპაგანდას, ააღვივებს ეროვნულ, კუთხურ რელიგიურ სოციალურ შუღლს. პოლიტიკური პარტიის წევრობა ეკრძალება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას, მასამართლეებს და პროკურორებს.

იმისათვის რომ პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მან რეგისტრაცია უნდა გაიაროს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცეცსკო) ამისათვის პარტიამ სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცეცსკოს თავჯდომარეს. პარტია რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში პარტია ვალდებულია ცეცსკოს წაერუდგინოს პარლამენტისარჩევნებში პარტის მონაწილეობის მხარდაჭრა, სულ ცოტა 25000ამომრჩევლის სია.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ფინანსურ რესურსებს, ამიტომ ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი ამ საკითხსაც არეგულირებს. საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო აფინანსებს; ის პარტიები რომლებიც წარმატებას აღწევენ არჩევნებზე, მომდევნო პერიოდში ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ მიერ მოპოვებული მერდაჭერის შესაბამისად. პარტიებმა შეიძლება სხვა წყაროებიდანაც მიიღონ დაფინანსება, მაგრამ კანონით მკაცრად დადგენილ საზღვრებში. კერძოდ მათ უფლება აქვთ მიიღონ ფინანსური და მატერიალური შემოწირულობები საქართველოს მოქალაქეებისაგან, ოღონდ ერთი ადამიანისაგან მიღებული შემოწირულობა წლის განმავლობაში 60000 არ უნდა აღემატებოდეს. პარტიის თითოეული წევრის საწევრო შენატანების წლიური ოდენობა ვერ აცდება 1200 ლარს, წლის განმავლობაში პარტიის მიერ განეული ხარჯის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,2%-ს.

საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით სახელმწიფოს არჩევითი ორგანოს ფორმირების წესია, რომლის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტთა ერთობლიობა წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობას. ვიწრო გაგებით კი საარჩევნო სისტემა კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში ადგილების განაწილების წესია, საარჩევნო ფორმულა. სწორედ ის პრინციპები და მეთოდები; რომელთა

საფუძველზე ხდება მიღებული ხმების მანდატების რაოდენობაში გადაყვანა, წარმოადგენს საარჩევნო სისტემას.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა თუ იმ სისტემის გამოყენება სუფთა ტექნიკური საკითხია და მას არანაირი გავლენა არ აქვს არჩევნების შედეგებზე, რომ რეალურად საქმე სულ სხვანაირად; საარჩევნო პროცესის ამ ელემენტს ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი აქვს - რამდენადაც კანდიდატებსა და პარტიებს შორის ხმათა ერთი და იმავე განაწილებისას სხვადასხვა სისტემის გამოყენებას სრულიად განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ, საარჩევნო სისტემას შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევითი ორგანოს არამართო დაკომპლექტებაზე; მთავრობის და მთლი ალმასრულებელი მექანიზმის სტაბილურობაზე.

ზოგადად საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფთა წარმომადგენლების სამართლიანი არჩევა. სამართლიანად კი მიჩვეულია ისეთი შედეგი, რომლითაც გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი) , ან რომლითაც პარტიის მიიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა, მის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი) ამის შესაბამისად, საარჩევნო სისტემებიც პირობითად ორ ძირითად ჯგუფად **მაჟორიტარულ და პროპორციულ** სისტემებად იყოფა. გარდა ამის ფართოდ გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემაც, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარულ და პროპორციული სისტემის ნიშნებს სხვადასხვა ვარიანტებით. თითოეულ ამ სისტემას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. საარჩევნო სისტემის საკვანძო განსხვავებული ნიშნებია;

საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი (საარჩევნო ფორმულა) რომელიც განსაძღვრავს მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეებია;

- გასაგებად უფრო მარტივია (ამომრჩეველი ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს და ნათლად ჩანს, სხვებს ვინ აჯობა).

- შედარებით მცირეა იმის ალბათობა, რომ არჩეული ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ აღმოჩნდეს.

უარყოფითი მხრეებია;

„დაკარგული“ ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც სხვა კანდიდატებს, ანუ გამარჯვებულის წინააღმდეგ მისცა ხმა), შეიძლება საგრძნობი აღოჩნდეს იმაზე მეტიც კი, ვიდრე გამარჯვებულის მიერ მიღებული ხმები (ეს დამოკიდებულია სისტემის მოდიფიკაციაზე);

- მხარდამჭერთა რაოდენობით მეორე პარტიამ თუნდაც ამ მაჩვენებლთ პირველ ადგილზე მყოფ პარტიას უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდეს, შეიძლება ვერცერთი მანდატი მიიღოს. თუ ორივე პარტიის მხარდამჭრები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში.
- მხარდამჭერთა რაოდენობით პირველმა პარტიამ შეიძლება უფრო ნაკლები მანდატი მიიღოს, ვიდრე გავლენით მეორე პარტიამ, თუ მის მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია რამდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქში, უფრო მეტ ოლქში კი მის მხარდამჭერთა რაოდენობა ოდნავ ჩამორჩება მეორე პარტიას;
- ამრიგად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არჩეულ ორგანოში უმრავლესობა მოსახლეობის უმცირესობის წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდეს, ეს კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის ერთერთ მთავარ პრინციპს ხალხის უმრავლესობის მმართველობის პრინციპს.
- საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ გაიმარჯვოს გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების, მაგრამ სსარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისათვის კარგად ცნობილმა ან დიდი თინანსური შესაძლებლობების პირმა და თანაც, შეიძლება მას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდეს.

პროპორციული სისტემა პირველად ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს (ისრაელში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში

პორტუგალიაში) და ამ სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიები მანდატებს შორის; მთელი ქვეყანა ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ დაყოფილია რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად.

საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებული ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა, რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც ცხადია ამ ორგანოში „ამინდს“ ვერ შექმნამ, მაგრამ შეიძლება პრიბლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და შემდგომ საჭირო გადანაცვებებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც.

თავი IV. ქართული ფენომენი და ღირებულებები

ვისთვისაც პოლიტიკური აზროვნება ინტერესის საგანია, მან შესანიშნავად იცის, რა მოცულობის ენერჯია უნდა დაეხარჯა სტალინს დღეების, თვეების, წლების განმავლობაში მსოფლიო ასპარეზზე. ვიცით რომ ხშირად სამი, ოთხი საათი ეძინა მხოლოდ ან სულაც არ მოუხუჭავს თვალი. დროის კატეგორია ერთია, რა სიღრმის, რა მაშტაბის ფიქრები იწვოდა ამ შრომისას? რუსები თითონ გაარკვევენ, რა სახის ქვეყანა იქნებოდა უმჯობესი მათთვის-სოციალისტური რუსეთი თუ კაპიტალისტური. მაგრამ თუ კი მათთვის სოციალისტური იმპერიალიზმი სასურველი იყო, რამდენადაც გააღმერთეს ლენინი, ეს იმპერიალიზმი მათ შეუქმნა სტალინმა, ეს მან გახლიჩა პლანეტა, გაიყვანა რუსეთი უბადრუკი, ჩამორჩენილი ქვეყნის პოზიციებიდან უმთავრეს მაგისტრალზე და მასზე დამოკიდებული გახადა მსოფლიოს ბედი. პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალით გაუთანაბრა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს, რამდენადაც მისცა ხელთ კოსმიური საზომის სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკა მისცა ატომური იარაღი, დაუმორჩილა ჩინეთი, აღმოსავლეთ ევროპა.. სოციალიზმის მსოფლიო სისტემად წარმოგვიდგინა, სისტემაში განულაგა იმპერიული ვნებები და მსოფლიოს დაპყრობის პერსპექტივების დაუსახა.

ღვთაებრივი ნიშატივით აღსავსენი იყვნენ საქართველოს უდიდესი შვილები და მსგავსი კეთილშობილების არხით რომ ედინა XIX - XX საუკუნეებშიც ჩვენი პოლიტიკური აზროვნების პოტენციალს, სად ვიქნებოდით ახლა! პოლიტიკური აზროვნება მარგანეცივით სსასწორზე არ აიწონება, საინტერესოა ის ენერჯია, რაც გასცა მან სხვისი ქვეყნისთვის. რა მასა იგი, რა მოცულობის, რა სიდიდის, რა ღირებულების, იმდენივე დააკლდა საქართველოს. გარდა ამისა, არა მარტო დააკლდა, უკუღმართ გზაზე შემდგარმა, აზარალა კიდევ განუსაზღვრელად. საფიქრალია ის თუ რა დააკლდა საქართველოს. სტალინისა და ბერიას ნიჭი და უნარი. ახლა წარმოვიდგინოთ საქართველოსათვის გაღებული იგივე ენერჯია- იმავე მოცულობით, იმავე სიდიდით. ოღონდ სხვა შინაარსით!! საქართველო თავისი არსით და

მისწრაფებებით არც ბერის და არც სტალინის იმის საშუალებას არ მისცემდა, მასობრივ რეპრესიებში გაეხარჯათ გონების ძალა!

სტალინის ფენომენი ჯერ მიაძინა, შემდეგ თავისდაუნებურად გამოაღვიძა. ამოდენა დანაკარგის შემდეგ არც შეიძლებოდა არ შევფხიზლებულიყავით. 1956 წლის სისხლისღვრამ გვითხრა, რაზე უნდა დავფიქრებულიყავით გავერკვიეთ ნელა, მაგრამ მაინც აჰა, 70-იანი წლებიდან დაიწყო შემობრუნება. ჯერ ფარული, შემდეგ აშკარა გამოხატულება საქართველოს პოლიტიკური აზროვნებისა ახალი საქართველოსათვის. თითქმის ორასწლიანი სამსახურის პასუხად შეურაცყოფა მოგვაყენეს, ჭიტლაყი ამოგვკრეს და კარგიც ქნეს, ისე როგორც გამოვერკვევოდით! ახლა დავრწმუნდით, თუ რა პოტენციალი გავვაჩნია, საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს უნდა მოვახმაროთ იგი.

ნურავის ეგონება, საქართველოს პოლიტიკური აზროვნების პოტენციალი იქ ამოიწურა-სტალინისა და ბერიას ფენომენებში. ჩვენ მათი არსი არ გვინდა, თორემ ის პოტენციალი ცოცხლობს, სასწაულებს ამზადებს შინ და გარეთ.

„ ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ადამიანს აქვს ეროვნული გულისყური, რომელიც მონოდებულია მოისმინოს მავანის გულისხმა. ეროვნულ გულისყურს ღმერთი ჩუქნის ერს და ერი ცოცხლობს მხოლოდ მანამ, სანამ ის გულისყური არ დაეხშობა.

საქართველო რუსეთს ფიზიკურ გადარჩენას კი არ სთხოვდა, მისიის გადარჩენას ავედრებდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მისია იყო გაეკეთებინა ეს. მფარველობაც ამიტომ სთხოვა. რამდენი საუკუნის განმავლობაში იძახდა ქართველი ხალხი, ერთმორწმუნე რუსეთს მივმართოთ, ერთმორწმუნე რუსეთს ვთხოვოთ დახმარება. ერთმორწმუნეობაში იგი ერთი სულისკვეთების, ერთი მიმართულების სწრაფვას გულისხმობდა. ამიტომ ვიმედებოდა. გუმანიით გრძნობდა, რომ მთლად ამაღლებულად არ ვითარდებოდა პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან , რომ იმპერიული ძრახვები დიპლომატიურ შეხვედრებში ხშირად აჩენდა თავის ბუნებას. მაგრამ ისტორიას არაფერი უკვირდა, ხსნაც არსაით იყო და ჩააფრინდა ერთმორწმუნეობის მომხიბლავი შინაარსი. ის გამოიკვეთა არამართო რუსეთთან

დამოკიდებულებაში, არამედ საკუთარ თვთნ საუბრის დროსაც. როდესაც საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა, იმ ერთმორწმუნეობის შიარსით ამშვიდებდა აშლილ ეჭვიან კითხვებს.

ტრაქტატი გვიდასტურებს, რომ რომ ორი ერის ურთიერთობის შინაარსში ქართველი ერი ამაღლებული მიზნით ხელმძღანელობდა. არ კარგავდა მხედველობის არედან თავის ეროვნულ მისიას. ტრაქტატი გვიდასტურებს, რომ მასში ქართველი და რუსი ერების მისიები სრულიად არის გათვალისწინებული. თანადგომის პუნქტები და მოვალეობანი ერთმანეთის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ იმ მაღლი მისიების გათვალისწინებით არის ნაკარნახევი. ამიტომ ხედავდა ქართველი ერი რუს ერში მფარველს, ხედავდა და ეძებდა კიდევ როგორც მფარველს, ხედავდა და მიისწრაფოდა მისკენ, როგორც მფარველისაკენ.

„მაშ, რა ისეთი განსაკუთრებული ძალისხმევა ჭირდებოდა კავკასიონის ქედთან მომწყვდეული ორი ქრისტიანი ქვეყნის,

საქართველოსა და სომხეთის მოშობას მუსლიმანური სამყაროს მიერ. საქართველოს საკუთარი მისია აცოცხლებდა, ეს მისია აბრძოლებდა, ეს მისია წამოაყენებდა ფეხზე მრავალგზის აჩეხილს და დალენილს“ (ჯ. ღვინჯილია, ქართველი კაცის სინამდვილე გვ. 299)

ქართველმა ერმა იცოდა რომ ღირდა ამ მისიისათის ბრძოლა. არათუ ღირდა, მოვალე იყო ებრძოლა საკუთარი მისის აღსრულებისათვის. იგი აწონასწორებდა თავისი სიმტკიცით, ბრძოლით და არსებობით მსოფლიო ძალთა თანაფარდობას, ინარჩუნებდა ქრისტიანული სამყაროს საზღვარს. „უბრალო სიცოცხლის „ გადასარჩენად ასეთი ქრისტესეებური ტანჯვა განა დასაჯერებელია?

„ერთა მისიების შეხვედრა მსოფლიოს იდეალურ მდგომარეობას ქმნის. ჩვენ რეალურობის ჭუჭყმა ისე დაგვამძიმა, გვაღიზიანებს იდეალურზე ფიქრიც კი. სანამ ერთა მისიების შეხვედრა რეალობად არ იქცევა, მანამ ბოროტებასა დასისაძაგლეს დასასრული არ ექნება.

ერის გონს, მის ისტორიულ მესხიერებას ახსოვს, ალბათ თორემ მისი სრული წვდომა და სრული შეცნობა ასე ადვილი არ არის. ცოდვის სიმძიმე არც გიგრძენით,

თითქოს დანიშნულებას კი არ ხელყოფდით, ღვთაებრივ სამართალსა და წონასწორობას კი არ არღვევდით, ერთ უმნიშვნელო დეტალს აუქმებდით“. (ჭ. ღვინჯილია, ქართველ კაცთა სინამდვილე, გვ. 299, 300).

ეს სიტყვები ეკუთვნის ოთარ ჭილაძეს და შეესაბამება ჩემს აზრს, რომ თითოეული ადამიანის სულში მისი ეროვნული კულტურისთვის დამახასიათებელი ღირებულებები, ფასეულობები ირეკლება. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს ვუსვამ შეკითხვას: ვინ ვარ მე? შემდეგ ვცდილობ ქართული კულტურის ჩემთვის მისაღები და ასევე უარყოფითი მხარეები გავაანალიზო.

ჩემთვის მისაღებ ღირებულებებს შორის აუცილებლად უნდა გამოვყო გამტანობა, ურთიერთდახმარება. ქართული ოჯახი ქართული საზოგადოების ყველაზე ძლიერი ინსტიტუტია, რადგან ტრადიციულად, ოჯახის წევრები სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავენ ერთმანეთზე. როდესაც ბავშვი ხედავს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სიყვარული და ურთიერთდახმარება, მისი პიროვნება სწორედ ამ ნიადაგზე ყალიბდება. ის პატივს სცემს არა მხოლოდ თავის ოჯახის წევრებს, არამედ ყველა ადამიანს, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს, რადგან იცის, უნდა უყვარდეს ადამიანები. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, ქართული ოჯახი არის სიყვარულის მთავარი წყარო, რომელიც სრულფასოვან ადამიანს აყალიბებს. ქართველებს არ ახასიათებთ ზომიერება. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ქართული სუფრა. რა თქმა უნდა, დიდ პატივს ვცემ ქართული სუფრის ტრადიციებს, თამადის ინსტიტუტს, თუმცა სულაც არ მივიჩნევ საჭიროდ გადაჭარბებულ სმას, რასაც შემდეგ შესაძლოა უბედური შემთხვევაც მოჰყვეს. მაგრამ ქართველ „ვაჟკაცს“ რომ ჰკითხო, გამოთრობის გარეშე კაცი კაცი აღარ არის. რეალურად კი ქართველებს ყოველთვის ზომიერი სმა უყვარდათ, რასაც უან შარდენის ჩანაწერები გვიდასტურებს.

ისტორიკოსები და კულტუროლოგები ქართული კულტურის ამ ცვლილებას მე-19 საუკუნის რუსულ ანექსიას უკავშირებენ. ამ პერიოდში ქართველებმა ჩრდილოელი მეზობლისგან მრავალი ახალი რამ შეითვისეს. ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აშინებს სიტყვა პროგრესი, რადგან მათთვის ეს სიტყვა მხოლოდ კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, მინიკაბებთან, „გახრწნილ“ ფილმებთან

ასოცირდება. ქართველთა დიდ ნაწილს აშინებს ცვლილებები, ამიტომაც ჩვენი საზოგადოება ერთ ადგილზეა გაყინული. მივეკედლებო დასავლურ კულტურას, მაგრამ ისიც კი ვერ გავგივია, რისი გადმოლება გვსურს მისგან და რისი - არა. ამის განსაზღვრისთვის აუცილებელია განათლება. ესეც ქართველთა კიდევ ერთი მინუსი: განათლება დიპლომის ქონასთან ასოცირდება. ვფიქრობ, დროა, შევიგნოთ, რომ განათლება ნიშნავს, გქონდეს საფუძვლიანი/ყოვლისმომცველი ცოდნა და ამ ცოდნას მოვლენებისა და პროცესების ანალიზის, საღი აზროვნებისა და სწორი შეფასებისთვის იყენებდე. გაინტერესებთ ჩემი აზრი, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქართული კულტურა? გაგახსენებთ ტიციან ტაბიძის სიტყვებს: „აშკარაა, რომ წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული“. ვეთანხმები ქართველ პოეტს. უნდა შევინარჩუნოთ ეროვნული იდენტობა და სწორედ მის საფუძველზე ვეცადოთ სიახლეების დანერგვას. შეიძლება, ზოგიერთი რამ დასავლური კულტურისაგან შევითვისოთ, ზოგი რამ ახალი თავად შევქმნათ და მსოფლიოს შევთავაზოთ.

<http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/88-qartuli-kulturis-ghirebulebebi>

დასკვნა

აქედან გამომდინარე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისასაც უნდა გადავხედოთ წარსულს, თუ რის ფასად უჯდებოდათ ქართველ ხალხს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის და კულტურის შენარჩუნება, მიუხედავად უამრავი მტრის მოგერიებისას. ბევრჯელ ანექსირებული და დაპყრობილი ქართველ ხალხი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ არ დაეკარგა სახელმწიფოებრიობა. მხოლოდ ამის შემდგომ შეგვიძლია შევქმნათ დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

ეროვნული იდენტობა არის ჩვენი ენა, რწმენა ტრადიციები, და ის ღირებულებები რაც წინაპრებმა შემოგვინახეს დღემდე. მართალია ჩვენი ქვეყანა ისწრაფვის განვითარებისაკენ, როგორც ტექნოლოგიურად აგრეთვე სხვა სიახლეების ათვისებით. აქ კი გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველმა ერმა განვითარებისაკენ მიმავალ გზაზე, არ უნდა დაივიწყოს ის ღირებულებები, რაც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლის ფასად შემოგვინახეს. ქართულმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს ქართული მეობა, ტრადიციები, ღირებულებები. სწორედ ამ ელემენტებზე დაყრდნობით შემოიტანოს ის ევროპული სიახლეები, რომელც შეგვინარჩუნებს ეროვნულობას და მხოლოდ ისტორიაში ჩასაწერად, და მოსაგონებლად არ დაგვიტოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო ეროვნული იდენტობა დამოუკიდებლობა ენტონი სმიტი თავისუფლება ილია ჭავჭავაძე
2. (ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა XIII ტომი გვ. 303-307)
3. ოქტომბერი, 1997 წ. “საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” მუხლი მე-6, ვებ წყარო:
4. ზურაბ უვანია, ჩვენი თაობის პრივილეგია, გამომც. “კირბი”, 2006წ., გვ.: 138.
5. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი 1982წ., ტომი VI, გვ.: 359
6. ჯანაშია (2007) ღირებულებები, რომელსაც არ ვაღიარებთ, გაზეთი ”24 საათი” , 2007.03.2
7. ღვინჯილია ჯ. „ქართველ კაცთა სინამდვილე“,თბილისი, 1992წ.
გვ. 281, 282, 357, 358, 364, 366, 394, 397, 398

8. James C. Charlesworth, National Character in the Perspective of Political Science, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 23-29, [33.: 25].
2 Don Martindale, The Sociology of National Character, Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 370, National Character in the Perspective of the Social Sciences. (Mar., 1967), pp. 30-35, [33.: 31]

9. Conference or Workshop Item (Speech) Uncontrolled Keywords: Georgia national identity independence Anthony Smith freedom Ilia Chavchavadze Subjects: General Works

Division: Ivane Javakhishvili Tbilisi State University

10. maCabeli, 2002

– k. maCabeli, qarTveli qalis is-toriuli roli.

genderuli problematika saqarTve- loSi

. Tbilisi: qalTa ganaTlebisa da informaciis sa-erTaSoriso centri, 2002: 3-8.

mesegeri, 1977 esguer, A. G.enguaje idiscriminación sexual. Madrid: Editorial Cuadernos Para el Dialogo

11. A. Шайо, Самоограничение власти, Москва изд. “юрист”, 1999г., 33.: 15 14 31

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=119

15 Шайо, 33.: 16 16 Шайо, 33.: 15

12. Kenneth W. Terhune, From National Character to National Behavior: A Reformulation, The Journal of Conflict Resolution, Vol. 14, No. 2. (Jun., 1970), pp.

203-263, [33.: 231] 24 Terhune, 33.: 238 7. Ronald Grigor Suny (1994) The making of

Georgian nation, 2nd ed, 33.: 108 28

13. (<http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/88-qartuli-kulturis-ghirebulebebi>)